ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 2011 №33 (5414) ფასი: 30 თეთრი

ახალი ქართული პროზა

ირაკლი ლომოური

## მკვლელობა არქეოლოგიურ ექსპედიციაში

(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)

გვ.8

# ვინ მფარველობს სურსათის მაფიას

რატომ არის სომხეთში შაქარი უფრო იაფი, ვიდრე საქართველოში გვ.7



## მიხეილ სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა გარანტირებული აქვს

გვ.5

## გოკა გაბაშვილი პაატა დავითაიას დაუპირისპირდა

გვ.4



## „20-ლარიანი ვაუჩერი ხალხის დაცინვაა“

გვ.2





## ქამრების შემოჭერა ბიუჯეტს არ ეტყობა

კონცერტებზე ათეულობით მილიონი დოლარი არ უნდა იხარჯებოდეს!

# ცოტნე გამსახურდიამ თავის სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემაზე უარი თქვა

გვ.2



## ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არჩევნებია

გვ.3

სააკაშვილი ნატოსა და ევროპას თავს აწონებს



გვ.5

## როგორ შეიძლება, ბურებმა კახელებს მევენახეობა ასწავლონ!

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ საჯარო ლექცია წაიკითხა

7 კახა კუკავა ტელეკომპანია „იმედს“ პროკურატურაში უჩივის

4 „ქართული პარტია“ ხელისუფლებას პოლიტიკური საქმიანობის ხელისშეშლაში ადანაშაულებს

9 კენი დალგლიში: „მე მხოლოდ წითელ მაისურებში გამოწყობილი ფეხბურთელები მაინტერესებს“

## ყვარლის გამგებელი დავით გამყრელიძეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლევან გამსახურდიას თქმით, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადება ყვარლის რაიონში მიწის პრივატიზების ფასის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— გამყრელიძე იტყუება. ყვარლის რაიონში მიწის პრივატიზების ფასს მიწის გადასახადის ოცმაგი ოდენობისთვის არ მიუღწევია. ზღვრული ნორმები ჯერ დადგენილი არ არის. რაც შეეხება იჯარით გაცემული მიწების პრივატიზების საკითხს, 2011 წლის 1-ელ იანვრამდე რაიონში იჯარით გაცემული მიწების 90% პრივატიზებულია. ხალხმა მიწის პრივატიზება მანამდე მოასწრო, სანამ ფასი გაიზრდებოდა, — განაცხადა ყვარლის გამგებელმა.

შეგახსენებთ, რომ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერები დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მაცხოვრებლებს დღეს შეხვდნენ. პარტიის ხელმძღვანელებმა სოფელში არსებული მდგომარეობა საგანგაშოდ მიიჩნიეს და ხელისუფლებისგან საგანგებო ზომების მიღება მოითხოვეს.

**მედიანიუსი**

## ცოტნე გამსახურდიამ თავის სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემაზე უარი თქვა

ცოტნე გამსახურდია პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემას არ აპირებს. როგორც მისმა ადვოკატმა მანანა კობახიძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, გამსახურდიამ ამის შესახებ მოსამართლეს უკვე აცნობა. სასამართლოზე მოწმეების დაკითხვა დასრულდა

გუშინ გამართულ პროცესზე საქმეში არსებული ვიდეოაუდიო მასალების გაშიფრული ტექსტის განხილვა დაიწყო. კობახიძის თქმით, აღნიშნული პროცესი, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლომდე გაგრძელდება.

მომდევნო სამი სასამართლო პროცესი 20, 21 და 22 თებერვალს არის ჩანიშნული. როგორც ცნობილია, პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესებს ბრალდებული ცოტნე გამსახურდია არ ესწრება.

ცნობისთვის: სასამართლო განიხილავს ცოტნე გამსახურდიასთვის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციის გატანის სანაცვლოდ 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. დაკავების მოტივი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო. მას 9,3 წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული.

**მედიანიუსი**

## უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ საჯარო ლექცია წაიკითხა

2011 წლის 8 თებერვალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს საჯარო ლექცია წაუკითხა.



ლექციის თემა იყო „სამართლისა და სასამართლოს რეფორმა საქართველოში“.

სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხშირად უტარებს საჯარო ლექციებს. მსგავსი შეხვედრების დროს, სტუდენტები უშუალოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან იღებენ პასუხებს მათთვის საინტერესო კითხვებზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მოსამართლეთა უვადო დანიშვნა, საზოგადოების სამართლებრივ განათლებაზე ზრუნვა, ძირითადად ასეთი იყო შეკითხვები, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უპასუხა.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტების მომავალი ვიზიტი უკვე უზენაეს სასამართლოში შედგება.

# „20-ლარიანი ვაუჩერი ხალხის დაცინვაა“

ნანა მიშელაშვილი

**მიხეილ სააკაშვილი 19 თებერვლის ნაცვლად საკანონმდებლო ორგანოს 11 თებერვალს ესტუმრება. ყოველწლიური მოხსენებით პრეზიდენტი 11 თებერვალს გამოვა. დეპუტატებს პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრა ძემ გუშინ დამატებით აცნობა.**

ბაქრაძის თქმით, პრეზიდენტთან დამატებითი კონსულტაციები ჰქონდა და მან პარლამენტში მისვლა, 10 თებერვლის ნაცვლად, 11 თებერვლისთვის ითხოვა. შესაბამისად, პრეზიდენტი პარლამენტში 11 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში მივა.

რაც შეეხება ფორმატს, პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას გაიმართება დებატები. სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცემათ როგორც ფრაქციების თავმჯდომარეებს, ისე საპარლამენტო უმრავლესობას, უმცირესობასა და დამოუკიდებელ დეპუტატებს, რომლებმაც შესაბამისი თხოვნით პარლამენტის ბიუროს უკვე მიმართეს.

ამ დრომდე პარლამენტის თავმჯდომარეს ორმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ მიმართეს.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე სხდომაზე ოპოზიცია და უმრავლესობა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დეპუტატებს ერთმანეთთან კინკლაობა იმდენად მოენატრათ, რომ პირველივე სხდომაზე შანსი არ გაუშვეს და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დაპირისპირების მიზეზი კი რამდენიმე იყო: დაწყებული სოციალური საკითხებით, დამთავრებული დევნილების გამოსახლებით.

ოპოზიციონერი დეპუტატები კომუნალური გადასახადების გაზრდას აპროტესტებენ, ხოლო 20-ლარიანი ენერგოვაუჩერების დარიგებას მოსახლეობის დაცინვად აფასებენ.

საპარლამენტო უმრავლესობას ოპოზიციის მხრიდან მაღალ კომუნალურ გადასახადებზე საუბარი დემაგოგიად მიაჩნია. ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძეს დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძემ მოუწოდა, დემაგოგიური გამოსვლებისგან თავი შეიკავოს.

რას მოითხოვდა ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე?

„ქრისტიან-დემოკრატები“ კომუნალური გადასახადების ტარიფების გადახედვას მოითხოვენ. ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ტარიფები გაბერილია და ხელისუფლება მოსახლეობას ფულს ჰაერში ახდევინებს.

ვიცე-სპიკერმა ყურადღება წყლის გადასახადზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ტარიფი ისეა გაბერილი, მისი ადეკვატური წყალი შეუძლებელია ოჯახმა დახარჯოს.

— ადრე თუ სხვის მაგივრად ახდევინებდით ხალხს ფულს, ახლა ჰაერში ახდევინებთ, — დასძინა ვეფხვაძემ.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ენერგოვაუჩერებზეც ისაუბრა, რომელსაც ხელისუფლება მოსახლეობას მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან დაურიგებს.



ლევან ვეფხვაძის შეფასებით, ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის 20-ლარიანი ვაუჩერის შეთავაზება მხოლოდ-დამხოლოდ დაცინვაა.

— სამარცხვინო ტარიფებია დღეს საქართველოში, — განაცხადა ვეფხვაძემ და პარლამენტს მოუწოდა, ტარიფების გადახედვამდე ერთიანი ადმინისტრირების გადაწყვეტილება შეაჩეროს, რომელიც ძალაში 7 თებერვალს შევიდა.

„ქრისტიან-დემოკრატები“ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომის გამართვას მოითხოვენ, სადაც მოწვეული იქნებიან სემეკისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ლევან ვეფხვაძეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ უპასუხა.

გიორგი მელაძის თქმით, ლევან ვეფხვაძის განცხადებები ისეთივე იყო, როგორიც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წინასაარჩევნო პროგრამა, რომლის მიხედვითაც წყალი უფასო უნდა ყოფილიყო.

მელაძის თქმით, წყლის მოსახლეობამდე მიტანას საკმაოდ დიდი მეურნეობა სჭირდება. — თუ გვსურს, ქალაქი იყოს სუფთა და განათებული, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შევიგნოთ პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს ჯიბეზე მოქმედებს, მაგრამ ეს ყველაფერი დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეს ხარჯი მოსახლეობამ უნდა გაიღოს, — განაცხადა მელაძემ. მანვე შეღავათი უწოდა იმ გარემოებას, რომ სოციალურად დაუცველების გადასახადების ნაწილს დედაქალაქის მერია დაფარავს.

კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა „ქართული დასის“ ლიდერმა. ჯონდი ბაღათურიას აზრით, კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით ქვეყანაში ელიტური კორუფციაა.

კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების გადაწყვეტილება ჯონდი ბაღათურიამ კიდევ ერთხელ გააპროტესტა.

„ქართული დასის“ ლიდერის აზრით, სამწუხაროდ, „თბილწყალკანალს“ პარლამენტში ისეთი ლობი აღმოაჩნდა, რომელმაც პარლამენტს უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილება მიაღებინა.

ბაღათურიას თქმით, თითოეული დეპუტატის ღირსების საკითხია, განსაკუთრებით მაჟორიტარების, რომ გაფუჭებული საქმე პარლამენტმავე გამოასწოროს.

ჯონდი ბაღათურიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა მისი კანონპროექტის განხილვა, რომელიც რამდენიმე თვეა პარლამენტში ინიცირებულია და მისი განხილვა არ მომხდარა.

კანონპროექტი კომუნალური გადასახადების ერთიანი ადმინისტრირების გადაწყვეტილების გაუქმებას ითვალისწინებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საკამათო გახდა, შეეხება დევნილთა გამოსახლების პროცესს.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილი დევნილების გამოსახლების პროცესი რუსეთიდან ეთნიკური ქართველების გამოყრის ფაქტს შეადარა. იმ დროს, როდესაც დევნილების თბილისიდან გასახლება ხდებოდა, პარლამენტი არ მუშაობდა, ამიტომ დეპუტატებმა ამ საკითხზე განცხადება გუშინ გააკეთეს. გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, ხელისუფლებამ დევნილები ფართებიდან საერთაშორისო ნორმების დარღვევით გამოასახლა.

— რუსეთის ფედერაციიდან ეთნიკურად ქართველები სატრანსპორტო თვითმფრინავებით გამოუშვეს, ასევე აზერბაიჯანამდე პურის მანქანებით მიიყვანეს. რომ არა აზერბაიჯანელი მეგობრები, ამ ხალხის ბედი გაურკვეველი იყო. იგივე გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ ამ დევნილების მიმართ, რადგან სწორედ საბარგულებით გაუშვეს ისინი რეგიონებში. ეს ხალხი ინვენტარს წლების მანძილზე აგროვებდა, ხელისუფლებამ კი გაუნადგურა. ამ ადამიანებს არ უხსნიან, სად მიჰყავთ, სამინისტროს განმარტებები კი სამარცხვინოა. უკვე რამდენი ხანია კარვების ქალაქია სამინისტროს წინ, მაგრამ მიხვედით ვინმე და გაეცანით რა აწუხებთ? — ჰკითხა ცაგარეიშვილმა უმრავლესობის წევრებს. საპარლამენტო უმრავლესობა, დევნილების გამოსახლების ფაქტებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს საკითხის პოლიტიზებით ხსნის.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია აცხადებს, რომ გაეროს დასკვნაში აღნიშნულია, დევნილთა განსახლების პროცესი მიმდინარეობდა გაეროსა და ევრომონიტორინგის საბჭოსთან ერთად. — სამწუხაროდ, ზოგიერთმა დევნილმა ისარგებლა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით და შეიჭრა ფართებში. აღმოჩნდა, რომ მათ კერძო საკუთრებაში ჰქონდათ ბინები. სწორედ ევრომონიტორინგთან ერთად, გაეროს შესაბამის სამსახურთან ერთად მოხდა ამ ადამიანების ინფორმირება 4 თვით ადრე, რომ მათი გადასახლება მოხდებოდა სხვა საცხოვრებელ სადგომებში, — ასეთია ლაშა თორდიას პოზიცია. მან ოპოზიციას ისიც სთხოვა, რომ არ მიაწოდონ საზოგადოებას ამ პროცესზე დამახინჯებული ინფორმაცია.

დევნილთა სამინისტროს მისამართით პრეტენზიები გამოთქვა დამოუკიდებელმა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ. ბაღათურია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმიანობის შესასწავლად პარლამენტში სპეციალური ჯგუფის შექმნას მოითხოვს. აღნიშნული ინიციატივით ბაღათურია სესიაზე გამოვიდა, თუმცა, მისი განცხადება უპასუხოდ დარჩა. — დევნილთა სამინისტროში 4 მილიონამდე კრედიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია არა აქვთ გაკეთებული. ნახევარი მილიონის შეშა აქვს ნაყიდი თითქოს დევნილებისთვის სამინისტროს, მაგრამ ვის მისცა, ვისგან იყიდა, რამდენ ლარად იყიდა თითო კუბმეტრი, ეს არ უწერია. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ეს ფული შეჭმულია, — აღნიშნა ბაღათურიამ.

დევნილებზე ერთჯერადი დახმარების სახით სამინისტროს გაცემული აქვს თანხები, მაგრამ დღემდე არ არსებობს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც დახმარების გაცემა ხდება.

ბაღათურიას თქმით, დღემდე 1500 ადამიანს დევნილს სტატუსი არა აქვს მინიჭებული, რაც დევნილთა შესახებ კანონის დარღვევაა.

— სად გაქრა მილიონები? 28 მილიონი, რომელიც 10 ათასი დოლარის სახით უნდა მიეღო თითოეულ მათგანს? ლარებში თუ გადავიყვანთ, ეს სწორედ 28 მილიონია. სად მიდის ყველა ის შეღავათი, რომლითაც უნდა ესარგებლა ამ 1500 დევნილს? — იკითხა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერმა ელიტურ კოლრუფციაზე ისაუბრა და პარლამენტში სპეციალური ჯგუფის შექმნა მოითხოვა, რომელიც კონკრეტულ მასალებს შეისწავლის.

— ყველა იმ ადამიანმა, რომელმაც ჩვენს სახელმწიფოში ყველაზე გაჭირვებული, ყველაზე დიდ განსაცდელში მყოფი ფენის — დევნილთა ფული შეჭამა, მთელი სიმკაცრით უნდა აგოს კანონის წინაშე პასუხი, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველსავე დღეს ხარვეზის გარეშე არ ჩაუვლია. საღამოს სხდომაზე დეპუტატები სხდომათა დარბაზში დროულად არ მივიდნენ, რის გამოც კვორუმის პრობლემა შეიქმნა.

დავით ბაქრაძემ ტექნიკური შესვენება გამოაცხადა. მას შემდეგ, რაც დეპუტატებს „ჩამოურეკეს“, სხდომათა დარბაზში 91 დეპუტატი შევიდა და კვორუმის პრობლემა აღმოიფხვრა. ამდენად, დეპუტატებმა პირველივე დღეს იზარმაცეს და საღამოს სხდომაზე მისვლა დააგვიანეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლების შეცვლის ერთადერი გზა არჩევნებია

## სააკაშვილი ნატოსა და ევროპას თავს აწონებს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის ავღანეთში ქართულ კონტინგენტს გააორმაგებს, ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა? ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველი ბიჭების დაღვრილი სისხლის ხარჯზე უნდა სააკაშვილს სკამის შენარჩუნება...***

— გაორმაგება ყოვლად დაუშვებელია. ის კი არადა, ისედაც ბევრი გვყავს ჩვენ ავღანეთში ჯარისკაცები. ნატოს წევრ სახელმწიფოებს ჰყავთ მხოლოდ ათეულობით ჯარისკაცი ავღანეთში და ჩვენ რატომ ვაგზავნით ამდენ ჯარისკაცს, არ მესმის რა! ჰოლანდიას გამოჰყავს ჯარები, გერმანია ფიქრობს ჯარების გამოყვანაზე, ჩვენ რა, დემოკრატიის ყველაზე უმაღლესი დამცველები ვართ თუ რაშია საქმე? ცალსახად და მკაფიოდ, სააკაშვილს უნდა ამით შეეტენოს ევროპას და ნატოს, რომ რაღაცნაირად ამ ფორმით მაინც მოიპოვოს ის მხარდაჭერა, რაც მას სჭირდება ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ეს მან გააკეთა ეგვიპტის მოვლენების ფონზე და გრძნობს უკვე, რომ მას არავინ არაფერს არ შეარჩენს, უკვე ჩაბარდა ისტორიას ბუშის ნეოკონსერვატიული პოლიტიკა. დღეს ევროპა სხვანაირად იქცევა და ევროკავშირი — სხვანაირად. ამიტომ მას ეშინია, რომ ის დღეები, რაც ეგვიპტეშია, მას დაუდგეს 2012-2013 წლებში არჩევნების შემდეგ, თუ მოინდომა გაყალბება და ხელისუფლების მითვისება, ქართველი ხალხი ამას არ შეარჩენს, მით უმეტეს, ეგვიპტისა და ტუნისის მოვლენების ფონზე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ქართველ საზოგადოებაში დაბრუნდა ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ამ ფონზე მას უნდა სხვა ფორმით მოიპოვოს ევროპელების და დასავლეთის სიმპათიები და სთავაზობს სამარცხვინო რამეს, არადემოკრატიული სახელმწიფო საქართველო სთავაზობს დემოკრატიულ სამყაროს თავისი ბიჭების გაწირვას ავღანეთში დემოკრატიის ასაშენებლად, როცა ჩვენთანაა ასაშენებელი დემოკრატია და არა ავღანეთში. ჩვენ ჯერ თავს უნდა მივხედოთ. ჩვენი ბიჭები არ არიან ასე გასაწირები სააკაშვილის სკამის გასამყარებლად. გაზრდა კი არა, რაც იქ არის ის, რაოდენობაც შესამცირებელია. საქართველოს მაქსიმუმ 250-300 კაცი შეიძლება ჰყავდეს ავღანეთში, მეტი არა.

***— თქვენ ეგვიპტე და ტუნისი ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, რაც იქ ხდება, ჩვენთან ის 2012 ან 2013 წლამდე არ მოხდება?***

— გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ მე მირჩევნია ასე მოხდეს. მე მაინც მგონია, რომ ქართველი საზოგადოება ცოტა წინ არის, ვიდრე არაბული სამყარო. არაბულ სამყაროს თავისი უპირატესობები გააჩნია, მაგრამ დემოკრატიის მიმართულებით ჩვენთან დემოკრატიაზე გაცილებით მეტი მოთხოვნებია. ჩვენთან უფრო ცივილიზებული ხდება მოთხოვნების რეალიზაცია. გაიხსენეთ, ჩვენთან დემონსტრაციები როგორ ტარდებოდა, მშვიდ ფორმებში, ა. შ. და ა. შ. ასე რომ, ამ ფონზე, მე მგონი, ყველაზე ეფექტური იქნება მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ქართველი საზოგადოება არის კონსტიტუციის დამცველი და კონსტიტუციის გზით ხელისუფლების შემცვლელი. ამის ერთადერთი ნორმალური ფორმა არის არჩევნები. არჩევნები ტარდება სულ მალე, მაქსიმუმ წელიწადნახევარში, საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ. მსოფლიოსთვის ცოტა უცნაური იქნება, დემოკრატიული ქვეყნებისთვის, მათთვის, ვინც დღეს მხარს უჭერს ეგვიპტეს, სადაც მოუწოდებენ, რომ დემოკრატიული გზებით მოხდეს ყველაფერი, ამ ფონზე უცნაური იქნება ჩვენ რომ არჩევნებამდე დავიწყოთ საპროტესტო შეუქცევადი აქციები. ყველაზე ეფექტური იქნება, რომ მთელი მოსახლეობა გავიდეს არჩევნებზე, ხმა მისცეს სააკაშვილის წინააღმდეგ და ამით გაიმარჯვოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის გაყალბება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნებზე არ უნდა მივიდეთ. ყველა საშინელება, რაც ქართველ საზოგადოებას სჭირს, მას ჰგონია, რომ წინასწარ გაყალბებულია და არჩევნებზე აღარ მიდის და ამით ის აყალბებინებს ხელისუფლებას თავის ხმებს. ამიტომ ყველა უნდა მივიდეს, ჰგონია თუ არ ჰგონია, დარწმუნებულია თუ არ არის დარწმუნებული გაყალბებაში, მაინც უნდა მივიდეს და შანსები არ მისცეს ხელისუფლებას, მარტივად გაუყალბოს ხმას არ მისცემს სააკაშვილს, ეს არის 100%-იანი გამარჯვება.

***— ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილი ვერ გააყალბებს?***



— რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის სააკაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდეს გაყალბების უპრეცედენტო მცდელობას და სწორედ ამის შემდეგ შეიძლება ქართველ საზოგადოებას მიეცეს დასავლეთის თვალში გამართლება იმისა, რაც შეიძლება მან მოითხოვოს ეგვიპტის მოვლენების კონტექსტში. მანამდე გაუგებარი იქნება დასავლეთისათვის, როცა წინ გაქვს არჩევნები, რატომ გამოდიხარ ქუჩაში. მუბარაკმა ეგვიპტელ ხალხს არ მისცა არანაირი საშუალება, დიდი ხანია მიითვისა ხელისუფლება, არანაირი რეალური არჩევნები იქ არ ტარდებოდა, თავის შვილს უმზადებდა ტახტს. სააკაშვილი მასთან ვერც მოვა, სააკაშვილის პრიმიტიული რეჟიმის გასტუმრება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე მუბარაკის დიქტატურა. ამ ფონზე მე მგონია, რომ ქართველ ხალხს აქვს უმტკივნეულოდ, უსისხლოდ გაისტუმროს სააკაშვილი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მუბარაკი გაცილებით პროდასავლური იყო და დასავლეთს უფრო მეტად სჭირდებოდა მუბარაკი, ვიდრე სააკაშვილი სჭირდება საქართველოში. მიუხედავად ამისა, დასავლეთმა გაწირა მუბარაკი ხალხის ნებიდან გამომდინარე. მადლობა ღმერთს, ბუშის ეპოქა ჩაბარდა ისტორიას და სულ სხვა ეპოქაა და სულ სხვა შეფასებები ექნება იმას, რაც შეიძლება საქართველოში მოხდეს 2012 წლის არჩევნების შემდეგ, თუ სააკაშვილმა ხალხის ნებას ყური არ მიუგდო და მაინც თავისი გაიტანა. ამიტომ, მე მგონია, რომ ლოგიკური, ლეგიტიმური და გამართლებული იქნება, თუ დღეს ყველანაირად ვეცდებით სიტუაცია არ ავრიოთ, სააკაშვილს არ დავაბრალებინოთ საზოგადოებისთვის და ოპოზიციისთვის პრობლემების შექმნა და თამამად გავიდეთ არჩევნებზე. მორიგ არჩევნებზე და არა ვადამდელ არჩევნებზე.

***— ბევრ ქვეყანაში სოციალურმა პრობლემებმაც შეუწყო ხელი ხალხის ქუჩაში გამოსვლას, ხომ შეიძლება არჩევნებამდე ჩვენთანაც ეს გახდეს ქუჩაში გამოსვლის მიზეზი?***

— რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერი არ არის, გეთანხმებით. თუ ხალხი მართლა ქუჩაში გამოვიდა, ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა, ჩემთვის ეს გასაგები იქნება და მისასალმებელიც კი, მაგრამ შეხედეთ რა ხდება დღეს. დევნილებს როგორ ექცევიან და ხმას არავინ იღებს. დევნილებს რომ თავი დავანებოთ, სამარცხვინო რამე ხდება, ერთ ქვითარში გააერთიანეს დენის, დასუფთავების, გაზისა და წყლის გადასახადი. კაციშვილი ხმას არ იღებს ოპოზიციური პარტიების გარდა. ასეთ დროს სხვაგან ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა. ეს ხომ ცინიზმია, ვინმე ხმას იღებს?! სად არის ხალხი, ვისაც პირდაპირ ეხება ეს! ამაზე მეტი უარესი რა უნდა მოხდეს, ამაზე მეტი დაცინვა რა უნდა მოხდეს, როცა მთავრობა გეუბნება, თუ არ გადაიხდი წყლის ფულს, დენს გაგითიშავო. იქნებ მე არ მინდა ამ წყლის საფასურის გადახდა, მაქვს ჭა და იქიდან ვიღებ წყალს, იქნებ არ მინდა გაზი და შეშის ღუმელით ვთბები, რატომ მითიშავ დენს?! საზოგადოება კი ხმას არ იღებს. ასე რომ, მე სამწუხაროდ და საუბედუროდ, არ მჯერა ამის, რაც თქვენ ბრძანეთ. ყველანაირად ჩანს, რომ საზოგადოება არ არის მზად სოციალური პრობლემების გამო ქუჩაში გამოვიდეს. სადაც უმძიმეს მდგომარეობაში იყო ხალხი, იქ გამოვიდნენ კიდეც, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. ჩვენთან, როგორც ჩანს, არის კიდევ გამოსავალი, ჯერ კიდევ ძალიან არ უჭირს საზოგადოებას. როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტად უნდა გაუჭირდეს, რომ ქუჩაში გამოვიდეს. ხალხს ურჩევნია არჩევნებზე გამოვიდეს და უსისხლოდ გადაწყვიტოს ეს პრობლემა, რადგან სააკაშვილი სისხლის დამღვრელია. ერთადერთი გამოსავალი, სისხლი რომ არ დაიღვაროს, ეს არის არჩევნებზე მისვლა.

***— ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება? ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილს სწორედ ვადამდელი არჩევნები აწყობს...***

— ამაში გეთანხმებით, მეც ვფიქრობ, რომ სააკაშვილს აწყობს ვადამდელი არჩევნები, მას აწყობს არეულობა, რომელიმე მისმა სატელიტმა პოლიტიკურმა პარტიამ რომ აწიოს ხმაური, რომ ჩვენ გვჭირდება ვადამდელი არჩევნები და მერე დაგვამადლოს — აი, თქვენ ხომ ითხოვდითო. ამიტომ, ვინც მოითხოვს ვადამდელ არჩევნებს, ჩემი აზრით, სააკაშვილის თამაშს ითამაშებს. სააკაშვილი ვერ მოითხოვს ვადამდელ არჩევნებს, რადგან თავად აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი წესრიგშიაო. თუ ვიღაცამ არ მოითხოვა, თვითონ ვერ დანიშნავს. დარწმუნებული ვარ, რომ მას აწყობს ვადამდელი არჩევნები და უნდა, რომ ეს სხვისი ხელით გააკეთოს.

***— დღეს არიან ოპოზიციური პარტიები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი მოითხოვენ ვადამდელ, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებს...***

— მე იმათ ვერ დავაბრალებ სააკაშვილის პოლიტიკის განხორციელებას, ეს ჩემი სტილი არაა, მაგრამ აშკარად რომ სააკაშვილის პოლიტიკას ხელს შეუწყობენ, ეს ფაქტია, ამაში დარწმუნებული ვარ.

***— ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს აქტიურად მიმდინარეობს ოპოზიციის დისკრედიტაცია და თავად ოპოზიცია აკეთებს ყველაფერ ამას...***

— კარგია, რომ ეს დაამატეთ. ვერავინ ვერ მოახერხებს ოპოზიციის დისკრედიტაციას თავად ოპოზიციის გარდა. თუ მიმდინარეობს, ძალიან ცუდია. მე მგონი, მაინც კრისტალიზაცია მიმდინარეობს და ხდება ოპოზიციური პარტიების გამყარება და ჩამოყალიბება. 2008-2009 წლის მოვლენების შემდეგ ხალხი თითქოს ისვენებს. ხელი რომ გაშალო წინ, დიდხანს ხელსაც ვერ გააჩერებ გაწვდილს, დაიღლები. ყველაფრისგან იღლება ადამიანი და ცოტა ამოსუნთქვაა საჭირო. მე მგონი, ეს 2011 წელი უნდა გადავიტანოთ სწორედ ამ მოდუნებაში და გარკვეულწილად საზოგადოებას უნდა მიეცეს საშუალება, რომ მოემზადოს 2012 წლის არჩევნებისათვის. მე ვფიქრობ, ის რვა პარტია სწორ გზას ადგას, რომელიც ხელისუფლებისგან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მოითხოვს. ეგვიპტის მოვლენებიდან გამომდინარე, მე მგონი, ოპოზიციას და საზოგადოებას უნდა გაეხსნას მეორე სუნთქვა, რათა მოსთხოვოს დასავლეთს, მოახდინოს ზემოქმედება სააკაშვილზე, რათა არ მოხდეს ეგვიპტის მოვლენები. უნდა მოახდინონ ზემოქმედება, რომ გაათავისუფლონ პრესა და ტელევიზია. სააკაშვილი უნდა მიხვდეს, რომ საჭიროა დათმობებისკენ ნაბიჯების გადადგმა. ახლა კარგი დროა, რომ დიპლომატიურად მოხდეს სააკაშვილზე ზემოქმედება და მან მოახერხოს და განახორციელოს მედიისა და სასამართლოს განთავისუფლება. თუ ეს მოხდა, მაშინ საარჩევნო გარემო ერთიორად გასუფთავდება და შანსები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა იზრდება.

***— თქვენ დასავლეთი ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, დაუჭერს მხარს სააკაშვილს დასავლეთი?***

— გააჩნია რაში, თუ დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნები და სააკაშვილმა დაადასტურა, რომ დემოკრატიულად გაიმარჯვა, მაშინ დაუჭერს მხარს, მაგრამ თუ აშკარად გამოჩნდა გაყალბება, მაშინ არ დაუჭერს მხარს. ხომ გეუბნებით, მუბარაკი ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია დასავლეთისთვის, ვიდრე სააკაშვილი. მუბარაკიც კი გაწირეს, რადგან მიხვდნენ, რომ ვესტერნული ტიპის არადემოკრატიულმა მმართველობამ უკვე ამოწურა თავის რესურსები და კონტრშედეგს იძლევა, აძლიერებს ისეთ ძალებს, როგორიცაა ისლამი. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეგვიპტეში ისლამმა არ წამოიწყო ეს პროცესები. თუ სააკაშვილმა ასე უგუნურად განაგრძო პოლიტიკა, გააძლიერებს საქართველოში პრორუსულ ძალებს. მთელი ტრაგედია აი რაშია. სააკაშვილზე გამწარებული ხალხი უფრო რადიკალური გახდება და რადიკალებს მხარში ამოუდგებიან რუსული ძალები. ჩვენთან არ არის ისლამის ფაქტორი, მაგრამ არის რუსული ფაქტორი. ამიტომ დასავლეთს უნდა დავანახოთ, რომ სააკაშვილის ტიპის ავტორიტარული მმართველის მხარდაჭერა იწვევს კონტრშედეგს და გაუცხოებას დემოკრატიული ღირებულებების მიმართ. დღეს ეგვიპტესა და ტუნისში მიმდინარე პროცესებმა შეიძლება საქართველოში დააბრუნოს ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ და ამ მომენტის გამოყენებაა საჭირო.

***— ტუნისმა და ეგვიპტემ ისიც დაგვანახა, რომ ხალხის ნებას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება...***

— ჭეშმარიტად! ოქროს სიტყვებია, გეთანხმებით აბსოლუტურად.

***— თქვენ რუსეთი ახსენეთ, იქაც ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, ეს თუ იქონიებს გავლენას ჩვენს ქვეყანაზე თუ ვინ გახდება რუსეთის პრეზიდენტი?***

— არა მგონია. იქ ვითარებას მართავს პუტინი. მე პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ, რომ მედვედევი პრეზიდენტი არ იქნება. პუტინს აქვს ორი არჩევანი: თვითონ გახდეს პრეზიდენტი, თუ კარგად მოკალათდა ამ ჩრდილში და ვინმე მედვედევ ორზე გააკეთოს არჩევანი. მე მგონია, რომ პუტინი ცდუნებას ვერ გაუძლებს და თავად გახდება პრეზიდენტი კიდევ ორი ვადით. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ვიღაც მედვედევ ორი იყოს პრეზიდენტი. ყველაზე ნაკლები შანსი მედვედევის პრეზიდენტობას აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკა არ შეიცვლება იმიტომ, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიმარჯვებს და რა ფორმით გაიმარჯვებს რუსეთში, მთავარია ჩვენთან რა მოხდება. რუსეთში მიმდინარე პროცესები არ უნდა ახდენდნენ საქართველოზე გავლენას. ეს არის სააკაშვილის მანკიერი პოლიტიკის შედეგი, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესები ჩვენზე გავლენას ახდენს.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან" ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ
„გუშაგთან" ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის" ახალი ტომი
7 თებერვლიდან გაიყიდება
მე-7 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

არჩევნები. თუ 80% მაინც მივა არჩევნებზე და

# გოკა გაბაშვილი პაატა დავითაიას დაუპირისპირდა

ნანა მიშელაშვილი

**ვეტერანების საკითხის გამო უმრავლესობა და ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ეს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე სხდომაზე მოხდა.**

პაატა დავითაია მოითხოვდა, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომა მოწვეულიყო, რომელიც ვეტერანთა აქციის დარბევასა და ვეტერანებთან დაკავშირებულ საკითხზე იმსჯელებდა.

3 იანვარს გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. ამის გამო თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მწვავე განცხადება გააკეთა.

პაატა დავითაიას აზრით, ვეტერანები თავიდან საშიმშილოდ სოციალური საკითხების გამო არ გამოვიდნენ. ეს შემდეგ გადაიზარდა სოციალურ საკითხებში. — პრობლემა იმაში იყო, რომ იმ ბიჭების სურათები, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის ომში დაიღუპნენ, რომლებიც ეკიდა გვარდიის შენობაში, აღმოჩნდა ურნაში. ეს გახდა მათი გამოსვლის ბიძგი. ამიტომ მინდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ვთხოვო, შეისწავლოს ეს საკითხი, — აღნიშნა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერს მიაჩნია, რომ სამშობლოსთვის თავგანწირულების სურათები ელემენტარულად იმ ნაწილებში უნდა ეკიდოს, სადაც ისინი მსახურობდნენ.



პაატა დავითაიას ამ განცხადებას უმრავლესობის წევრ გოკა გაბაშვილის შეფასება მოჰყვა. გაბაშვილმა დავითაიასა და ოპოზიციას მოუწოდა, სიცრუის გავრცელებისგან თავი შეიკავონ. — ბატონო პაატა, ძალიან მიკვირს თქვენგან საუბარი იმაზე, რომ თავდაცვის სამინისტროში პატივს არ სცემენ იმ ადამიანებს, რომლებიც დაიღუპნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. ეს არის აბსოლუტური სიცრუე, ეს არის აბსოლუტური ცილისწამება. სამხედროები, თავდაცვის სამინისტრო, მთელი ქართველი საზოგადოება ქედს ვიხრით ამ ადამიანების წინაშე, რომლებიც დაიღუპნენ საქართველოსთვის ბრძოლაში. მართლა არ ვიცი, რომელი ყვითელი პრესის ყვითელი ფურცლებიდან ამოღებული ჭორები და ტყუილებია, რომ მათ სიმბოლოებს, სურათებს, ძეგლებს, მემორიალებს ვინმე ცუდად მოექცა. ამ საკითხებით სპეკულირებას არავის ვურჩევ, — აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.

უმრავლესობის წევრს პაატა დავითაიამ აღარ უპასუხა. კიდევ ერთი დეპუტატი, რომელმაც პაატა დავითაიას უპასუხა, დავით დარჩიაშვილი იყო.

— არ არსებობს, სახელმწიფო შენდებოდეს ისე, რომ არ ზრუნავდეს ვეტერანებზე, იმ ადამიანებზე, რომლებმაც თავი შესწირეს ამ სახელმწიფოს მშენებლობას, — აღნიშნა დარჩიაშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, თავად თავდაცვის სამინისტრო დაკავებულია ურთულესი პროცესით, რასაც ჰქვია შეიარაღებული ძალების აღჭურვა და მოდერნიზება.

დავით დარჩიაშვილმა პაატა დავითაიას მიმართა, რომ თუკი გაზეთში რაღაც დაიწერა და ამის „უკან რაღაც იყო, ეს საკითხი შესასწავლია და პასუხი გასაცემია".

— ვეტერანების საკითხი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი თემაა, რაზეც სოციალურ ასპექტშიც მიმდინარეობს ზრუნვა და მორალურშიც და რაც აუცილებელია სახელმწიფოსთვის, ამავე დროს, არ უნდა ხდებოდეს პოლიტიზაცია და სპეკულირება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, 90-იან წლებში რა პროცესები იყო, რამდენი ადამიანი შეიძლება იბრალებდეს იმას, რაც სინამდვილეში არ გაუკეთებია, არც სამხედრო წოდებები არ მიუღია, მაგრამ რაღაც საბუთები ტრიალებდა და ვრცელდებოდა, ესეც ცალკე მისახედი საქმეა, — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

მას შემდეგ, რაც ეს განცხადებები გაკეთდა, ვეტერანების საკითხზე კამათი შეწყდა. ამ ეტაპზე გაურკვეველია, ჩატარდება თუ არა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომა, სადაც ვეტერანებთან დაკავშირებულ საკითხზე იმსჯელებენ.

## „ქართული პარტია" ხელისუფლებას პოლიტიკური საქმიანობის ხელისშეშლაში ადანაშაულებს

„ქართული პარტიის" განცხადებით, ხელისუფლება ცდილობს „ქართული პარტიას", როგორც არასასურველი, ალტერნატიული ძალის გაძლიერებას ხელი შეუშალოს.

— 15 თებერვალს „ქართული პარტიის" ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია ტარდება. პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარმა, რამდენიმე საათით დარბაზის დასაქირავებლად, ჯერ კიდევ 24 იანვარს, წერილობით მიმართა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობას, მაგრამ უარი მიიღო. თეატრის მმართველი როზა დვალიშვილი თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ 8 თებერვლიდან თეატრში „ინტენსიური რეპეტიციები" და „საპრემიერო მზადება" იწყება,— ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული პარტია" მიიჩნევს, რომ აღნიშნული „არგუმენტი" წარმოადგენს ფორმალურ საბაბს ხელისუფლების იმ პოლიტიკური დაკვეთის შესრულების გასამართლებლად, რომელიც ოპოზიციის საქმიანობისთვის ხელის შეშლას გულისხმობს. ამ მოსაზრების სისწორეს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დღემდე ქუთაისში ერთი აფიშაც კი არ არის გამოკრული უახლოეს მომავალში რაიმე გასტროლის ან პრემიერის შესახებ.

„ქართული პარტია" მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ შეწყვიტოს პოლიტიკური პარტიების პარტიული ნიშნით დისკრიმინაცია და უზრუნველყოს ერთნაირი პირობების შექმნა ყველა პოლიტიკური ძალისთვის, განურჩევლად იმისა, ეს ძალა ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში.

— აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც საქმე ეხება მმართველი პარტიის და სახელისუფლებო ძალების მიერ რაიმე ღონისძიების ჩატარებას, დარბაზის გამოყოფისთვის არანაირი ხელისშემშლელი მიზეზი არ არსებობს, ოპოზიციას კი პარტიული ღონისძიების ჩასატარებლად გადაულახავი წინააღმდეგობები ექმნება, — აღნიშნულია განცხადებაში.

მედიანიუსი

# ქამრების შემოჭერა ბიუჯეტს არ ეტყობა

## კონცერტებზე ათეულობით მილიონი დოლარი არ უნდა იხარჯებოდეს!

შორენა კოწოწაშვილი



„თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, დავით ონოფრიშვილი, აფასებს რა ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, აცხადებს, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა ფსევდოლიბერალურმა პოლიტიკამ რეალურად, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი ვერ მოიტანა. ამის მიზეზად ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი და ყოფილი ფინანსთა მინისტრი ხელისუფლების მცდარ მიდგომას ასახელებს.

ონოფრიშვილი დარწმუნებულია, რომ სწორი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ქვეყანაში ასეთი ინფლაცია არ იქნებოდა და ბევრად მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია იქნებოდა ადგილობრივი წარმოებისა.

**დავით ონოფრიშვილი:**

— ხელისუფლება არის არაპროფესიონალი. არანაირი გამოცდილება არ აქვს. უბრალოდ, ხედვაც კი არ აქვს, როგორ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი პრობლემები. ეს ეხება ინფლაციას, დარგობრივ პრიორიტეტებსა და ქვეყნის განვითარებას. ჩემი აზრით, პრიმიტიულ დონეზე აქვთ შეხედულებები ეკონომიკის განვითარებაზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობის როლზე ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარების შანსი არსებობს. ბურების ჩამოყვანა რომ უნდათ, დახმარებოდნენ ადგილობრივ ფერმერებსა და გლეხებს. დახმარებაში იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ფული ჯიბეში ჩაედოთ, შესაბამისი პირობები შეექმნათ, დაბალი საპროცენტო განაკვეთები ყოფილიყო და საგადასახადო სისტემა სოფლის მეურნეობის კუთხით მოწესრიგებულიყო. ქართველი გლეხი, რა, ვერ შეძლებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანას, თუ სახელმწიფო დახმარება იქნებოდა? — განათლების ამაღლება, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. ამისთვის უნდა შემოიყვანო უცხო ტომი — ბურები და ჩაასახლო? არა მგონია, ეს სწორი მიდგომა იყოს. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა ინფლაციის კუთხით. ზემოთ გარე ფაქტორებზე მივანიშნე. შიდა ფაქტორებით გამოწვეული ინფლაცია არანაკლებია, იმიტომ რომ ინფლაცია, საბოლოო ჯამში, არის უფრო მეტი ფულის მიმოქცევაში გაშვება. იმაზე მეტი ფული რომ არ ყოფილიყო მიმოქცევაში გაშვებული, რაც არის, ინფლაცია ამხელა დონეს ვერ მიაღწევდა, ანუ უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკაა გასატარებელი. რატომ არის მაგხელა ფულის მასა მიმოქცევაში გაშვებული? — იმიტომ, რომ საქართველოს ბიუჯეტის მაღალი დეფიციტი აქვს. დღეისთვის სადღაც 6%-მდეა და ამას უნდა დაფინანსება. რატომ აქვს დეფიციტი? — იმიტომ, რომ ბიუჯეტი არ დგება სწორად, არაპრიორიტეტულად. ეს ყველაფერი გადაბმულია. არის უამრავი სხვა ხარჯი, ბიუროკრატიული ხარჯები. ისეთი ხარჯები, რომლებიც დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ეკონომიკისთვის არ არის აუცილებელი, რომ ათობით მილიონი ლარი ხარჯოს კონცერტებსა და სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაზე. შეიძლება, ერთი ან ორი გასართობი ღონისძიება გააკეთო. თუ საჭიროა, ესეც არ უნდა გააკეთო და კერძო ბიზნესმა და ვიღაც სხვამ იკისროს ამის შესრულება. არ არის საჭირო ნახევარ მილიარდზე მეტი სხვა ხარჯები, რომელიც, არ ვიცით, რაში იხარჯება. ხშირად ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ტურიზმის განვითარებისთვის სასტუმროების აშენება სახელმწიფოს პრიორიტეტი ნამდვილად არ უნდა იყოს. ეს ხედვები არასწორია. ეს სულ შეცდომებია. განათლების სფეროში 7 წელი რა რეფორმა ჩატარდა და რა შედეგები მივიღეთ? ეს იმიტომ, რომ სამი წელი ერთი მინისტრი ერთ რეფორმას ატარებს, მერე მეორე მინისტრი — მეორე რეფორმას, ახლა მესამეა და ის რაღაც შუალედურს იღებს. ასეთი არაპროფესიონალები და არაკვალიფიციური ხალხია ხელისუფლებაში და თვითონ მართვის სისტემაა არასწორი. რეალურად მათ არ შეუძლიათ, კვალიფიციურად, პროფესიონალურად მართონ სახელმწიფო. აი, ეს არის პრობლემა.

***— ბატონო დავით, შეგიძლიათ თქვათ, რომ ინფლაცია გარკვეულწილად ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკის შედეგია?***

— საერთოდ, ეროვნული ბანკი ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებაში, მაგრამ, საქართველოს შემთხვევაში, მე, პირადად, უფრო ნაკლები პრეტენზიები ეროვნულ ბანკთან მაქვს, თუმცა, მათაც შეეძლოთ, უფრო შეზღუდულად ყოფილიყო ირიბი ინსტრუმენტები ბაზარზე, რომელიც არ გამოიწვევდა ბაზარზე ფულის გასვლას. მაგრამ მთავარი რომ არის ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენება, ეს იგივე ბიუჯეტის შემცირება არამიზნობრივი და არასაჭირო ხარჯების, რომელიც ამ ეტაპზე არაა სავალდებულო, უნდა შემცირდეს და, შესაბამისად, გადახედილი უნდა იყოს იგივე ის პრიორიტეტები, რაც ბიუჯეტშია ჩადებული.

***— თუ არ ვცდები, „თავისუფალმა დემოკრატებმა" უწოდეთ ამ წლის ბიუჯეტს ანტისოციალური. არაერთი დამოუკიდებელი ექსპერტი მიანიშნებს, რომ მთავრობას ბიუჯეტის შევსების პრობლემა შეექმნება.***

— ჩვენმა პარტიამ და პირადად მე არაერთხელ განვაცხადე, როცა 2011 წლის ბიუჯეტი ფორმირდებოდა, რომ საშემოსავლო ნაწილი ზედმეტად ოპტიმისტურად არის დაგეგმილი დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადების მხრივ. ეს ერთი. ასევეა ხარჯებიც — ჯანდაცვა, სოციალური ხარჯი, განათლება. არანაირი ზრდა არ ყოფილა. ამიტომ, სამაგიეროდ, ვითომ ქამრების შემოჭერის, ბიუროკრატიული აპარატის შემცირების, ვითომ სადღაც რაღაც შემცირდა, მაგრამ სინამდვილეში იგივე სახელფასო ფონდი, მაგალითად, ჯამურად არ შემცირებულა. ხელფასები რომ არის საშუალო და მაღალი, ორჯერ, სამჯერ და ათჯერ მეტია მერე სხვადასხვა სახის კვარტალური პრემია, დახმარება თუ ა.შ. ჯამურად ძალიან მაღალ შემოსავლებზე მივდივართ ბიუროკრატიული აპარატის კუთხით.

***— ანუ რეალურად ქამრების პოლიტიკა არ ხორციელდება?***

— მე ვთვლი, რომ აქ არანაირი რეალური ქამრების შემოჭერა არ მომხდარა. ეს ბიუჯეტს არ ეტყობა.

***— ინფლაციას ხელისუფლება გარე ფაქტორებს აბრალებს. გამართლებულია მხოლოდ მსოფლიო პროცესებიდან გამომდინარე საუბარი?***

— რა თქმა უნდა, არა. ხელისუფლება ინფლაციას აბრალებს ჩინეთის მოსახლეობას. თურმე მათ ჭამა 2010 წელს დაუწყიათ და მანამდე შიმშილობდნენ თუ რა ხდებოდა, არ მესმის. იმედია, ინდოეთიც არ მიემატება ამ ქვეყნებს, თორემ ჩვენს ქვეყანაში ინფლაცია სულ ზემოთ წავა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ ინფლაციის მოთოკვა შეუძლებელია. დამიჯერეთ, ეს არის პოლიტიკური ნების საკითხი. ამის შესრულება ყველა ნორმალურ მთავრობას შეუძლია, თუ პოლიტიკური ნება იქნება. მაგრამ აქ სწორედ ის ხიფათი ჩანს, რომ, იცით, ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ და, როცა იმპორტირებული პროდუქცია შემოდის, ამ დროს გადასახადების დიდი ნაწილი ამოდის. თუ ინფლაცია მაღალია, ინფლაციური გადასახადი არსებობს. მაღალი ინფლაციის გამო ბიუჯეტში მეტი გადასახადები შედის. ეს არის რეალურად თავის მოტყუება, იმიტომ რომ ფასი მაღალია. გადასახადი რომ ემატება, ისიც ცოტა მაღალი იქნება ფასის გამო. მაღალი ფასის გამო უფრო მეტი დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვა. ამიტომ არის გარკვეული ხიფათები. შეიძლება, ვიღაცებს გონებაში ჰქონდეთ, რომ გარკვეულ პერიოდში ინფლაცია დარჩეს ამ დონეზე, რათა მათ როგორმე შეძლონ საგადასახადო გეგმის შესრულება.

***— ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას როგორ აფასებთ, გაამართლებს ამ პოსტზე პრემიერის ფავორიტი გიორგი პერტაია?***

— საერთოდ, „თავისუფალ დემოკრატებს" ჯერ კიდევ მერის არჩევნების დროს პროგრამაში გვეწერა, რომ დედაქალაქს უნდა ჰყოლოდა თავისი ბიზნესომბუდსმენი. მიგვაჩნია, რომ ბიზნესომბუდსმენის არსებობა აუცილებელია. იძულებული ვართ, ვთქვათ, ბიზნესომბუდსმენი უნდა იყოს, იმიტომ რომ ბიზნესის ამხელა დატერორება, შევიწროება ხდება და ბიზნესმენები სამართალს ვერ პოულობენ. ნორმალურ ქვეყანაში ბიზნესომბუდსმენი საჭირო არ არის. რადგან საქართველო არ არის ნორმალური ქვეყანა, ბალანსი რომ გამოინახოს და მათი მხარდამჭერი ინსტიტუტი არსებობდეს, ამიტომ საჭირო იყო, ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი შემოღებულიყო. ეს ინსტიტუტი მეწარმეთა უფლებებს დაიცავდა.

***— რაზე მიანიშნებთ, ხელისუფლებამ „თავისუფალი დემოკრატების" წინასაარჩევნო დაპირება თავად განახორციელა?***

— არ ვიცი, ვინ ვისი ინიციატივა და წინასაარჩევო დაპირება შეასრულა, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა. როცა ჩვენ ამას მოვითხოვდით, არ ვგულისხმობდით, რომ აქ მთავრობიდან წამოსული ან მთავრობასთან დაახლოებული კანდიდატურა წამოვიდოდა. მე გიორგი პერტაიას საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს. ვიცი, რომ ის კარგი და განათლებული ადამიანია და ბევრი საკითხი ესმის, მაგრამ აქ საუბარია თვითონ მიდგომაზე. ინტერესთა კონფლიქტია, როცა ბიზნესომბუდსმენი სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოდიხარ. ამის გამო გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა მოგიწევს. აი, ეს არის მთავარი პრობლემა. ვნახოთ, რა იქნება. ფაქტია, დღეს სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. ეს რომ ყოფილიყო ფართო არჩევის საფუძველზე, უფრო წვრილი და საშუალო ბიზნესიდან გამომდინარე, მაშინ მას უფრო მეტი ძალა ექნებოდა და უფრო მეტ აქტიურობას შეძლებდა. მაგრამ, რაც არის, ვნახოთ. ახალ საგადასახადო კოდექსშია ჩადებული ბიზნესომბუდსმენის თანამდებობა. უახლოესი თვეები გვიჩვენებს, რამდენად აქტიური იქნება ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი და რამდენად დაეხმარება ბიზნესმენებს.

***— ექსპერტი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ამაზე ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენები ოპოზიციისთვის მაცდუნებელია, მაგრამ საქართველოში ანალოგიური რამ არ მოხდება. მოხდება თუ არა სოციალური აფეთქება ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე? მახსოვს, ამაზე თქვენ ჯერ კიდევ ზაფხულში მიანიშნებდით.***

— ჯერ კიდევ აგვისტო-სექტემბერში ვაცხადებდი, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასების ასეთი ზრდა რეალურად სოციალურ კრიზისამდე მიგვიყვანდა. დღეს ეს, პრაქტიკულად, სახეზეა. ფასები გაორმაგებულია. არანაირი ადეკვატური ქმედებები სახელმწიფოს მხრიდან არ ჩანს. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ გითხრათ, ხვალ ამას გამოსვლები მოჰყვებაო, ასე ამის თქმა ძნელია. მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას — თუ ასე გაგრძელდება ფასების მატება კიდევ რამდენიმე თვე, ხალხი მართლაც შიმშილის ზღვარზეა და ხედავს, რომ არანაირი ადეკვატური ნაბიჯები ამის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან არ ხორციელდება. მთავრობა თავის ინტერესებს ახორციელებს, გაჭირვებული ხალხი კი თავისთვის არის. ცხადია, მოთმინების ფიალა ივსება და ერთ დღეს შეიძლება გადმოვიდეს. როდის იქნება ეს ბოლო წვეთი, ძნელი სათქმელია. ამიტომ, მგონია, რომ უახლოეს ორ-სამ თვეში ნამდვილად არ იქნება. იქითა წლის ბოლოსკენ თუ ისევ 10-12%-იანი ინფლაცია იქნება და კიდევ უფრო გაიზარდა ფასები, მაშინ ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ სოციალური უკმაყოფილების ფონზე დაიწყოს გამოსვლები.

თეა მარხვაძე

# მიხეილ სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა გარანტირებული აქვს



**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში გამოსასვლელად ემზადება. მის გამოსვლას ნაციონალები დიდი გულისფანცქალით ელოდებიან და ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტის გამოსვლა, როგორც ყოველთვის, ძალიან მაგარი იქნება.**

პრეზიდენტის გამოსვლას არანაკლები გულისფრიალით ელიან ოპოზიციონერებიც. ნაციონალებისგან განსხვავებით მათ გული ბოროტად უფანცქალებთ. ისინი წინასწარ ამტკიცებენ, რომ სააკაშვილის გამოსვლა იქნება ცუდი.

ოპოზიციის განსაკუთრებულად ბოროტად განწყობილი ნაწილი მიხეილ სააკაშვილისთვის აქციის მოწყობას აპირებს. აქციის ორგანიზატორები საზოგადოებას 11 თებერვალს პარლამენტის შენობასთან მისვლისკენ მოუწოდებენ.

აქციის სლოგანი უკვე მოფიქრებულია. „საზოგადოება ადანაშაულებს მიხეილ სააკაშვილს" — ასე ერქმევა იმ ღონისძიებას, რომელიც პარლამენტის შენობის წინ 11 თებერვალს გაიმართება.

11 თებერვალს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით გუშინ აქციის ორგანიზატორებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. აქციის ორგანიზატორები კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია და დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა არიან. ლაშა ჩხარტიშვილმა, ალეკო შალამბერიძემ და მანუჩარ სიგუამ საზოგადოებას 11 თებერვალს აქციაზე მისვლისკენ მოუწოდეს. სხვათა შორის, მანუჩარ სიგუა პატიმრობიდან სულ რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს. ის ცოტა ხნის წინ იმის გამო დააკავეს, რომ დევნილების გამოსახლების პროცესს შეეწინააღმდეგა.

კონსერვატიული პარტიის ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი თავის გამოსვლაში ცინიკური იქნება.

— მიხეილ სააკაშვილს უნდა საქართველო თავის პირად საკუთრებად აქციოს. ის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას არაერთ ცინიკურ განცხადებას გააკეთებს. საზოგადოება უნდა მოვიდეს პარლამენტთან და შუშის დიქტატორის განცხადებები გააპროტესტოს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ლაშა ჩხარტიშვილმა.

ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე მიიჩნევს, რომ ასეთი აქციის ჩატარება აუცილებელია.

— პარლამენტის წინაშე სააკაშვილი ათას ტყუილს იტყვის. დაიბრალებს, რომ ვითომ დემოკრატია. ისეთ სურათს დახატავს, თითქოს ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის. მის გამოსვლას უცხოური მედიასაშუალებებიც გააშუქებენ. როცა ჩვენ აქ შევიკრიბებით, უცხოური მედია ჩვენს აქციასაც დააფიქსირებს. რითაც საერთაშორისო თანამეგობრობას დავანახვებთ, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ეს სააკაშვილის ტელეინტერვიუებიდან ჩანს, — განაცხადა ალეკო შალამბერიძე.

აქციაზე მისულ ადამიანებს თან თითო ფურცლის მიტანა ევალებათ. ამ ფურცელზე ის ბრალდება უნდა იყოს დაწერილი, რაშიც ისინი საქართველოს პრეზიდენტს ბრალს სდებენ.

რა შედეგს გამოიღებს პარლამენტის შენობის წინ აქციის მოწყობა, რისთვის არის საჭირო ეს ბრალდებები, ამის შესახებ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

— 11 თებერვალს მიხეილ სააკაშვილი ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტის წინაშე უნდა წარდგეს. ეს იქნება ტრადიციული. პრეზიდენტის მოხსენება ტრადიციულად სავსე იქნება ტყუილებით. სააკაშვილი, როგორც მას სჩვევია, გააკეთებს უამრავ ცინიკურ განცხადებასაც. რითიც საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიაყენებს შეურაცხყოფას. ჩვენ მისგან ისედაც ბევრი შეურაცხყოფა ავიტანეთ. ყველაფერს აქვს საზღვარი. ამაზე რეაგირება აუცილებელია.

***— რა ფორმით უნდა მოახდინოს საზოგადოებამ რეაგირება?***

— სულ მცირე, ჩვენ აქცია უნდა ჩავატაროთ.

***— დიდი საპროტესტო აქციის ჩატარებას გულისხმობთ?***

— სასურველია, რომ დიდი აქცია ჩავატაროთ. თუმცა პოზიციის დაფიქსირებისთვის პარლამენტთან სიმბოლური აქციის ჩატარებაც საკმარისი იქნება. ამ აქციას ჩვენ დავარქვით „საზოგადოება ადანაშაულებს მიხეილ სააკაშვილს". აქ მოსულმა ადამიანებმა უნდა მოიტანონ ბრალდებები.

***— რა ბრალდებები?***

— მათ უნდა დაწერონ ფურცელზე, რაში სდებენ ისინი სააკაშვილს ბრალს. კარგი იქნება თუ თითო ადამიანი თითო ბრალდებას მოიტანს. ჩვენი აზრით, ამ აქციაზე ყველა უნდა მოვიდეს. ეს არ არის რომელიმე პარტიის მხარდასაჭერი აქცია. ამიტომაც ადამიანები, მიუხედავად მათი სქესისა, ასაკისა, რელიგიური მრწამსისა, პარტიულობისა თუ უპარტიობისა, აქ უნდა მოვიდნენ. მათ, როგორც უკვე აღვნიშნე, თითო ბრალდება უნდა მოიტანონ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბრალდებების ჩამოწერა მნიშვნელოვანია.

***— რატომ არის მნიშვნელოვანი ბრალდებების მოტანა.***

— თუ ადამიანები ბრალდებებს მოიტანენ, მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდება იმ დანაშაულების სპექტრი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინა. არ არსებობს სფერო, სადაც შუშის დიქტატორს დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი. არ არსებობს საქართველოში ფენა, რომლის წინააღმდეგაც სააკაშვილს დანაშაული არა აქვს ჩადენილი. ის დანაშაულს ყოველთვის ჩაიდენს. ჩაიდენს იმიტომ, რომ მისი მთავარი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნება და ფულის შოვნაა. მას უნდა საქართველო პირად საკუთარებად აქციოს. ის მზად არის ადამიანს წაართვას საკუთრება, სიცოცხლე. გავახსენებ ყველას, რომ უკვე ასზე მეტი ახალგაზრდა არის პოლიციური რეჟიმის მსხვერპლი. პრეზიდენტი ამ უსამართლობას უნდა ებრძოდეს. ის კი მკვლელების მფარველობით და გათავისუფლებით არის დაკავებული, რომელიც ასევე ძალიან დიდი დანაშაულია. დიდი დანაშაულია ისიც, რაც მან დევნილების წინააღმდეგ ჩაიდინა. თავი დავანებოთ იმას, რომ ადამიანები გამოყარეს და საცხოვრებელი წაართვეს. გაცილებით დიდი დანაშაულია ის ფორმები, რომლებიც დევნილების გამოსახლების დროს გამოიყენეს. დანაშაულია ის, რაც ბიზნესთან დაკავშირებით ხდება. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ საქართველოში მსხვილი ბიზნესი დაახრჩვეს და მოკლეს. სამაგიეროდ, ახლა მთელი ბაზარი ნაციონალებმა ჩაიგდეს ხელში, რითიც სახელისუფლებო ოლიგარქები გამდიდრდნენ. სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომაც ვთხოვ, რომ თითო ადამიანმა თითო ბრალდება დაწეროს.

***— რატომ არის აუცილებელი, რომ ადამიანებმა ბრალდებები ფურცელზე ჩამოწერონ.***

— ამ ბრალდებების ჩამოწერა აუცილებელია. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბრალდებები ყველა სფეროს მოიცავს. მას მართლაც ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. სააკაშვილი სამუდამო პატიმრობას იმსახურებს. მას თუნდაც ერთ სფეროში იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ სამუდამო პატიმრობა გარანტირებული აქვს.

***— თქვენ გჯერათ, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი დანაშაულების გამო სააკაშვილი დაისჯება?***

— იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ ამ ვითარებაში ჩადენილი დანაშაულებისთვის მას გაასამართლებენ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად დადგება დრო, როცა ის განსასჯელის სკამზე მოუწევს დაჯდომა. მისი საბრალდებო დასკვნა ძალიან მძიმე იქნება. დანაშაულების ჩამონათვალი კი ძალიან გრძელი.

***— ბრალდებებს, რომლებსაც ხალხი პარლამენტთან ფურცელზე დაწერილს მოიტანს, რას უპირებთ?***

— ამ ბრალდებებს ჩვენ შევკრიბავთ. ეს ბრალდებები სამომავლოდაც იქნებაგამოყენებული. ამ ეტაპზე კი ბრალდებებს საპროტესტო აქციების დროს გამოვიყენებთ. არ არის გამორიცხული, ჩვენ სამოქალაქო საბრალდებო დასკვნის მაგვარი პრეცედენტიც კი შევქმნათ.

***— ასეთი პროექტი ხომ არსებობს და მას „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას" ჰქვია?***

— არსებობს და ჩვენ ამ პროექტში ძალიან აქტიურად ვართ ჩართული. სააკაშვილი თავის საქმიანობით ქართველ იურისტებს დიდ სამუშაოს გაუჩენს. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში პატიოსანი იურისტები მყავს, რომლებიც საქართველოში საბედნიეროდ მრავლად არიან.

***— მოდით, ისევ 11 თებერვალს დაგეგმილ აქციას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, მოვა ხალხი პარლამენტთან?***

— ხალხი აუცილებლად უნდა მოვიდეს. ჩვენ ამ თვეების განმავლობაში უამრავი აქცია ჩავატარეთ. ვცდილობდით საზოგადოება გამოგვეფხიზლებინა. მეტ-ნაკლებად ეს მოვახერხეთ. მთავარია ადამიანებმა ისწავლონ საკუთარი უფლებებისთვის სისტემატიური ბრძოლა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ბრძოლის ხარისხი და მასშტაბები გაიზარდოს. ყველაზე ცუდი არის უმოქმედობა და უმოძრაობა. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოში უძრაობის ხანამ დაისადგუროს. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ აქ ყოფილიყო სრული შტილი. ხელისუფლებამ ამ მიზნის მიღწევა ნაწილობრივ მოახერხა. კიდევ კარგი, საზოგადოება ცოტათი გამოფხიზლდა. რაც საკმარისი არ არის. ჩვენ კიდევ უფრო აქტიურები უნდა გავხდეთ. ერთმანეთი უნდა გამოვაფხიზლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გადავეშვებით უძრაობის ხანაში, რომელიც საბჭოთა პერიოდში რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა. ეს, მგონი, მომგებიანი არ არის. არა მგონია, ჩვენს საზოგადოებას უნდოდეს, რომ კიდევ 30 წელი უყუროს სააკაშვილს.

***— არის იმის შანსი, რომ სააკაშვილი 30 წელი დარჩეს ხელისუფლების სათავეში?***

— რატომ არ დარჩება. თუ უფლებას მივცემთ, ის ათეულობით წლის განმავლობაში დაგვაჯდება თავზე. თუ მან თავისას მიაღწია, საქართველოს მოსახლეობას ბოლომდე გაანადგურებს. ხალხს საარსებო წყაროებს მოუსპობს. სააკაშვილი ქვეყნისთვისაც საშიშია. მისი დიდი ხნით პრეზიდენტად დარჩენა ნიშნავს, რომ საქართველო შაგრენის ტყავივით ნელნელა დაპატარავდება. სააკაშვილთან გამკვლავება რომელიმე კონკრეტულ პარტიას გაუჭირდება. ამიტომაც მოვუწოდეთ ჩვენ ყველას სოლიდარობისკენ. ჩვენ გაერთიანებას არავის არ ვთხოვთ, მაგრამ არსებობს საკითხები, რომლის მიმართაც სოლიდარულები უნდა ვიყოთ. მხოლოდ სოლიდარობით შეიძლება მიზნის მიღწევა. მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ საქართველოს დამპყრობლებისგან გათავისუფლებას. საქართველოს დღეს ორი დამპყრობელი ჰყავს. ერთი არის რუსეთი, რომელმაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა. მეორე დამპყრობელი კისაქართველოს ხელისუფლებაა, რომელიც რუს ოკუპანტებზე დაუნდობლად უსწორდება ჩვენს მოქალაქეებს.

# როგორ შეიძლება, ბურებმა კახელებს მევენახეობა ასწავლონ!

## რუსეთს ნებისმიერ დროს შეუ ლია, საქართველოს დენის მიწოდება შეუწყვიტოს

გულიკო ბალაძე



**საქართველოს პირველმა პირმა უკვე ღიად განაცხადა, რომ საქართველოში სამხრეთაფრიკელი ბურების ჩამოსახლებას გეგმავს.**

ამის თაობაზე უცხოელი ჟურნალისტი წერს, რომ თურმე საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების სააკაშვილისეული ჟინი მართვის ყველა სფეროზე გავრცელდა, დაწყებული „სამხრეთაფრიკელი ბურების დაქირავებით, რათა მათ სასოფლო-სამეურნეო რეფორმებს გაუწიონ დახმარება და პროდუქტები გააუმჯობესონ".

კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, რომ სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგებიან მრავალათასიანი აქციებით. იქნება მძაფრი საპროტესტო ტალღა.

***— ბატონო ბიძინა, სააკაშვილი უცხოელებთან თავს იქებს, რომ მან ქვეყნის ეკონომიკაში „უთამამესი რეფორმები" ჩაატარა და, ამდენად, ის „თავისუფალი ეკონომიკის მქადაგებელია", თუმცა, თურმე „ეკონომიკა არ შეიძლება იყოს ზედმეტად ღია", მაგრამ, „როგორც კი ჩაერევი ბიზნესში, ის ჩამოიშლება"...***

— ეს სიტყვა აჩემებული აქვს...

***— იქნებ თქვენ იცოდეთ, რა რეფორმები ჩაატარა ასეთი სააკაშვილმა საქართველოს ეკონომიკაში, რომ თვით ეკონომიკას გაუმჯობესების არაფერი ეტყობა?***

— სააკაშვილს არანაირი რეფორმა არ ჩაუტარებია. სააკაშვილმა ის, რაც ჰქონდა შევარდნაძის კლანს თავის კლანზე — თავის ნათესავებსა და გუნდის წევრებზე გადაანაწილა. ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე რომ აქვთ პრეტენზია, ეს აბურდია. ბენდუქიძემ გააუქმა კონტროლის კანონები და ისეთი პროდუქტები შემოდის ქართულ ბაზარზე, შეიძლება მთელი ერის დანაგვიანება მოჰყვეს. ეს თუ რეფორმაა, თავის დროზე შევაფასებთ. არანაირი რეფორმა არ ჩაუტარებია, გულიკო, თქვენ ხომ კარგად იცით ეს. უბრალოდ, შევარდნაძის კლანებიდან თავის კლანებს გადმოუფორმა ყველაფერი. ყველა ძირითად ბიზნესში არის მერაბიშვილის, სააკაშვილის, ადეიშვილის, ბოკერიას, უგულავას, ბენდუქიძისა და სხვა ჩინოვნიკების წილი.

***— ალბათ, „თავისუფალი ეკონომიკის მქადაგებელი"...***

— აბსურდია. არავითარი თავისუფალი ეკონომიკის მქადაგებელნი ეგენი არ არიან.

***— არ შეიძლება, სააკაშვილს თავისუფალი ეკონომიკის მქადაგებელი იყოს?***

— თავისუფალი ეკონომიკის მქადაგებელს ბრჭყალებში ჩავსვამდი.

***— ალბათ, „თავისუფალი ეკონომიკის ქადაგებაში" იგულისხმება ის ბიზნესები, თავის ახლობლებს რომ გადმოუფორმა?***

— ჰო... ფორმალურად თითქოს ბიზნესის დაწყება იოლია. კი ბატონო, გახსენი ფირმა, მაგრამ შემდეგ, როგორც კი აამოქმედებ და სერიოზულ ბიზნესს შექმნი, თავზე დაგადგება საგადასახადო და პროკურატურა. დაიწყება დავები, შემოწმებები და იმდენად შეგზღუდავენ, რომ საერთოდ არ ღირს ბიზნესის კეთება. ვინც შემოდის ჩვენთან, ინვესტორია თუ სხვა გარიგებაშია ამათთან. ხელისუფლების გარეშე ბიზნესი არ არსებობს. მთელი ელიტური ბიზნესი ხელისუფლების ხელშია. ვინც კი შემოდის უცხოეთიდან, ნახევარ წილში უსხდებიან. მათაც აწყობთ. უცხოეთში ბაზარი გაჯერებულია, მოსახლეობა იმდენადაა დასაქმებული. ჩვენთან ეკონომიკა იმდენად ჩამკვდარია, რომ სადაც გინდა, იქ შეიძლება ბიზნესსაქმიანობის დაწყება, მაგრამ, თუ თუ ვინმესთან არ ხარ შეკრული, ვერაფერს გააკეთებ. ამიტომ უცხოელებიც მოდიან ამ გარიგებაზე და ხელისუფლებასთან ერთად არიან.

***— რამდენად შეიძლება, ეკონომიკა დახურული ან ღია იყოს?***

— ეკონომიკა იმდენადაა ღია, რამდენადაც ამის საშუალებას კანონი გაძლევს. საქართველოს ეკონომიკა დახურული იმიტომაა, რომ სწორედ ამ ინტერესების გაშიფვრა და გამომზეურება არ უნდათ. ყველამ იცის, რომ მათი ინტერესების გარეთ, თუკი ვინმე ბიზნესმენია ამ ქვეყანაში, ყველას არეკეტებენ, ფულს ართმევენ და ბიზნესს ზღუდავენ. თუ მათ წილებს მისცემენ, საქმიანობას გააგრძელებენ. ასეთი დახურული ბიზნესი და ასეთი გასაიდუმლოებული ბიზნესსაქმიანობა, როგორიც ახლაა, არასოდეს ყოფილა საქართველოში, თვით შევარდნაძის დროსაც კი.

***— არადა, სააკაშვილს თურმე „ეკონომიკის მოდერნიზაციის" იმდენად დიდი ჟინი ჰქონია, რომ მართვის ყველა სფეროზე გავრცელებულა...***

— ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი კლანი ყველაფერში ერევა და ყველა იმ საკითხში ცხვირს ყოფს, სადაც ამის უფლება არ აქვს. ერევიან ყველა საქმიანობაში, აკონტროლებენ კანონის დარღვევით. კანონით კონტროლი, თავისთავად ცხადია, მისაღებია, მაგრამ ესენი ყველაფერს აკეთებენ, რომ კონტროლის ქვეშ ჰყავდეთ ყველა, დიდი თუ საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. ძირითადად ქართული ეკონომიკა დგას შემოტანილ საქონელზე, მის დისტრიბუციასა და ბაზარზე. არავითარი ეკონომიკა არსებობს, გარდა მათ მიერ ნებადართული ბიზნესისა. ეს არის ლუდის, გამაგრილებელი სასმელების წარმოება...

***— ბატონო ბიძინა, თურმე სააკაშვილის მთავარი ჟინი „სამხრეთაფრიკელი ბურების დაქირავება ყოფილა". თქვენ როგორ გესმით „ბურების დაქირავება"? რამდენადაც აქამდე ხმაურდებოდა, ხელისუფლებას ბურების გადმოსახლება აქვს გეგმაში.***

— იცით თქვენ, რომ ბურებს სამხრეთ აფრიკაში არ აქვთ დასაყრდენი და ახლა ჩვენთან უნდათ ჩამოსახლება. ბურები ჰოლანდიელი ფერმერები არიან, რომლებიც თავის დროზე ჰოლანდიის კოლონია სამხრეთ აფრიკაში გადასახლდნენ. ადრე, აპარტეიდის დროს, თუ ადგილობრივი მოსახლეობა იზღუდებოდა, ახლა თვითონ ბურები განიცდიან შევიწროებას. ამათ უნდათ სადმე ისეთ ადგილას ჩასახლება, სადაც შეზღუდვები არ იქნება. სააკაშვილს მეტი რაღა უნდა? ჰოლანდიელი რძალი კი გვყავს.

***— ამ განცხადებით სააკაშვილმა, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ის მართლაც გეგმავს ბურების ჩამოსახლებას...***

— დიახ, სააკაშვილი ბურების ჩამოსახლებას გეგმავს. ეს ძალიან ცუდია. როგორც გავიგე, სადაც „თურქი მესხების" ჩასახლებას აპირებდნენ, იქ უნდათ ბურების განსახლება და მეურნეობების აღდგენა. ეს სიყალბეა. დარწმუნებული ვარ, მათ მოქალაქეობას მისცემს და ვერავინ ვერავის შეუზღუდავს სხვაგან გასვლას. სადაც მოუნდებათ, იქ დასახლდებიან და რაც მოუნდებათ, იმას აწარმოებენ. იმ ჭკუაზე არიან, რომ გაძვალტყავებულ რაიონებში ჩავიდნენ და იქ უვარგისი მიწები დაიკავონ. თუმცა,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სააკაშვილმა გუბერნატორები საგანგებო რეჟიმზე გადაიყვანა

ნათია ხურცილავა

**პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ისაუბრა, რომელიც პრეზიდენტმა ეკონომიკური გუნდის წევრებთან ერთად მიიღო.**

10 თებერვლიდან საქართველოში ყველა ოჯახი 20 ლარიან ვაუჩერს მიიღებს. 20 ლარიანი ვაუჩერი ელექტროენერგიის გადასახადს შეუმსუბუქებს მოსახლეობას.

პრეზიდენტის რეზიდენციაში აცხადებენ, რომ 20 ლარიანი ვაუჩერი მცირე დახმარებაა მოსახლეობისთვის გაზრდილი გადასახადების ფონზე.

ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის მოხმარება ორმაგდება და სწორედ ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო დაეხმაროს მოქალაქეებს, რათა შეუმსუბუქდეთ გადასახადები.

პრეზიდენტის რეზიდენციაში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე უკვე მუშაობენ ენერგეტიკის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროები.

ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ და სად მიიღებენ 20 ლარიან ვაუჩერს მოქალაქეები. თუმცა, 10 თებერვლიდან გაცემის პროცესი დაიწყება.

მთავრობამ აღნიშნული გადაწყვეტილება ინფლაციურ პროცესებს დაუკავშირა, რომელიც ქვეყანაშია.

ინფლაციური პროცესები ისევ გრძელდება. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლების გადაწყვეტილებით ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი.

— გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტმა ელექტროენერგიის ვაუჩერის თემა წამოაყენა. ამ თემაზე აქტიურად მუშაობენ ენერგეტიკისა და ჯანდაცვის სამინისტროები. სავარაუდოდ, ვაუჩერების გაცემის პროცესი 10 თებერვლიდან დაიწყება. მინდა დავამატო, რომ ეს არის მთავრობის მოკრძალებული თანადგომა. ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩვენს ოჯახებს მცირეოდენით მაინც შეუმსუბუქებს ინფლაციურ პროცესებს, — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ასევე ისაუბრა პრეზიდენტის პარლამენტში სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით.

უკვე ცნობილია, რომ 11 თებერვალს მიხეილ სააკაშვილი წლიური ანგარიშით წარდგება პარლამენტარების წინაშე.

ცნობილია ფორმატი, რომლითაც წარიმართება პრეზიდენტ სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლის პროცედურა. უკვე შეთანხმებულია რეგლამენტი, რომლითაც პრეზიდენტს კითხვებით მიმართავენ უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატებიც.

მანანა მანჯგალაძის ინფორმაციით, პრეზიდენტის წლიური ანგარიშის წარდგენისას შეეხება ყველა იმ პრობლემას, რომელიც ამ ეტაპზე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

სააკაშვილი თავის გამოსვლაში უკვე ცნობილია, რომ ყურადღებას გაამახვილებს სოციალურ საკითხებსა და ინფლაციის პროცესზე, რომელიც მსოფლიოშია. ყურადღება იქნება გამახვილებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც აქტუალურია მთავრობის ეკონომიკური გუნდის წინაშე.

— პრეზიდენტი მიბრძანდება პარლამენტში და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგება თავისი ყოველწლიური შემაჯამებელი გამოსვლით. პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლის დროს შეეხება ყველა მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს. მათ შორის იმ საკითხებს, რომელიც აწუხებს საქართველოს მოსახლეობას, ხალხს. ბუნებრივია, განსაკუთრებული აქცენტები სწორედ ამ საკითხებზე გაკეთდება. მათ შორის გლობალური ინფლაციის პროცესებზე და იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას, — განაცხადა მანჯგალაძემ.



გარდა აღნიშნული საკითხებისა, საუბარი შეეხო მიუნხენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაში გამართულ ვიზიტსაც.

უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე სააკაშვილმა გაახმოვანა ის საკითხები, რომელიც საქართველოს აწუხებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

მანჯგალაძის ინფორმაციით, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამართულ შეხვედრებზე უმთავრესი საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება იყო.

პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე აცხადებს, რომ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან სააკაშვილის მიერ გამართული შეხვედრა უმნიშვნელოვანესი იყო, სადაც საუბარი შეეხო სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებს და 12 აგვისტოს ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია დღემდე არ ასრულებს.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ საქართველო ერთგულია თავისი სამშვიდობო ინიციატივების და ამ ფონზე პრეზიდენტი სააკაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციასთან დიალოგის დაწყების შესახებ.

იქნება თუ არა რუსეთის პრეზიდენტის თუ პრემიერ-მინისტრის მხრიდან აღნიშნულ წინადადებაზე გამოხმაურება, როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს საერთაშორისო თანამეგობრობაზე დიდწილად არის დამოკიდებული.

— უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციამ და პარალელურად გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ მისცა ქართულ მხარეს საშუალება, რომ კიდევ ერთხელ მიგვეტანა საერთაშორისო საზოგადოებამდე ჩვენი პრობლემები. პირველ რიგში, ეს ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს და იმ ქმედებებს, რომელსაც რუსეთის ფედერაცია დღემდე ახორციელებს ამ ტერიტორიებზე. მათ შორის უნდა აღინიშნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამატებითი შეიარაღების შეტანის ფაქტები. რუსეთი არღვევს არა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას, არამედ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებას. მიუნხენში პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სამშვიდობო ინიციატივებს, რომლითაც საქართველო გამოდის. სწორედ სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთთან დიალოგის დაწყების თაობაზე, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც პრეზიდენტის რეზიდენციაში გამახვილდა ყურადღება, შეეხება უამინდობის გამო რეგიონებში შექმნილ მძიმე ვითარებას, რის გამოც სააკაშვილმა გუბერნატორებს 24 საათიან რეჟიმში მუშაობისკენ და მაქსიმალური მობილიზებისკენ მოუწოდა.

# ინფლაციამ სოფელში ცხოვრება კიდევ უფრო გაართულა

## რა შესჩივლა მემარჯვენეებს კახეთის მოსახლეობამ

ნათია ხურცილავა

**„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდებს, 11 თებერვალს, როდესაც ის წლიური ანგარიშით წარდგება პარლამენტის წინაშე, არარეალური დაპირებების ნაცვლად ისაუბროს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პრობლემებზე და მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ხელისუფლებო გეგმები გააცნოს მოსახლეობას.**

გამყრელიძე პრეზიდენტს ახსენებს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის დადგენილებას, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები, რომელიც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.



ახალი მემარჯვენეების ლიდერები დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე გუშინ კახეთში იმყოფებოდნენ.

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრის შემდეგ გამყრელიძე და ჩიხრაძე სოფლად არსებული საგანგაშო მდგომარეობიდან გამომდინარე ხელისუფლებისგან საგანგებო ზომების მიღებას ითხოვენ.

მემარჯვენეების ლიდერი აცხადებს, რომ ქვეყანაში არსებულ ინფლაციას, სურსათისა და ძირითადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის დამატებითი პრობლემები ემატება.

გამყრელიძე აღნიშნავს, რომ მაგალითად, ყვარლის რაიონში ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 39 ლარი ღირდა, ახალი განაკვეთი 82 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად განისაზღვრა იჯარით აღებული მიწების საპრივატიზაციო ფასი. ყვარლის რაიონში ერთი ჰექტარი მიწის პრივატიზების ფასმა მიწის გადასახადის ორმაგ ოდენობას 1640 ლარს მიაღწია.

— მოსახლეობას მიწების გამოსყიდვა ადრინდელი ტარიფითაც კი უჭირდა. ამიერიდან გაძვირებული გადასახადების ფონზე ამას პრაქტიკულად ველარ შეძლებს. ასევე, წლების მანძილზე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ტვირთად აწვება საწვავზე გაზრდილი ფასები, რომელმაც წელს განსაკუთრებულად მაღალ ნიშნულს მიაღწია. საწვავის სიძვირე შეუძლებელს გახდის სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებას და მიწების დიდი ნაწილი კვლავ დაუმუშავებელი დარჩება. სოფლად არსებული მდგომარეობა, ცხადია, ადეკვატურად აისახება მთლიანად ქვეყანაში საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდაზე, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, — აცხადებს მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე.

ახალი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ აგრარული სექტორი წლების განმავლობაში მიტოვებულია ხელისუფლები მიერ. არანაირი ზომების მიღება არ ხდება მისი სტიმულირებისთვის.

ახლები აცხადებენ, რომ თუ სტიმულირება ინტენსიურად ხორციელდება ტურიზმის მიმართ, ასეთივე მიდგომა სასიცოცხლოდ აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

ახალი მემარჯვენეები ხელისუფლებას საგანგებო ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ:

მიწაზე ქონების და პრივატიზაციის გადასახადის დაწევას და საწვავზე აქციზის გადასახადის შემცირებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით. ახლები მიიჩნევენ, რომ ამ დარგში განხორციელებული ინვესტიციები, წარმოების და გადამუშავების უახლოესი 5 წლის განმავლობაში ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისგან განთავისუფლებას მოითხოვს.

# როგორ შეიძლება, ბურებმა კახელებს მევენახეობა ასწავლონ!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

იმ მიწებსაც დაიკავებენ და ქართველი გლეხის მიწებსაც, განსაკუთრებით, კახეთში და დასავლეთ საქართველოში.

***— თუ დააკვირდით, ხელისუფლება ტელევიზიით სთხოვს მოსახლეობას, აცნობოს გასაყიდი სახლების თაობაზე. უთითებენ გარკვეულ რაიონებს, სადაც მთავრობას სახლების შესყიდვა სურს. როგორც ჩანს, ხელისუფლება ბურებისთვის სახლებს ამზადებს.***

— დიახ, დიახ. გაძვალტყავებული ხალხი ყველაფერს გააკეთებს, საკუთარი სახლისა და ეზოს გაყიდვის ჩათვლით, რომ შიმშილით არ მოკვდეს. სწორედ ამაზეა გათვლილი ხლისუფლების გეგმა, რომ კაპიკებად ჩაიგდონ ხელში ხალხის ქონება. მერე, რა თქმა უნდა, ნაწილს ბურებს მისცემს, ნაწილს თავისთვის დაიტოვებს. მათ ხალხი არ ენაღვლებათ.

***— სააკაშვილი ამბობს, ბურები თურმე იმიტომ ჩამოჰყავს, რომ სასოფლო-სამეურნეო რეფორმების გატარებაში დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას და პროდუქტები გააუმჯობესონ.***

— ბურმა ფერმერმა კახელ გლეხს მევენახეობა უნდა ასწავლოს? რა აბსურდია. აქაური მეურნეობა როგორ უნდა ასწავლონ კახელ გლეხს. ეს არის ქართველი მოსახლეობის აბუჩად აგდება. უახლოეს დღეებში აგორდება პროტესტის ტალღა და ამ საკითხს მივხედავთ.

***— სასოფლო-სამეურნეო რეფორმების გასატარებლად და სოფლის ფეხზე დასაყენებლად, ელემენტარულად, ხელისუფლების ნება ხომ არ არის საჭირო? როდესაც სააკაშვილი ამ სფეროს რეფორმებზე საუბრობს, რეალურად ამისთვის რას აკეთებს და რა არის გასაკეთებელი?***

— სააკაშვილი არაფერს აკეთებს. ახლა გაახსენდა, ზამთარში, რომ ადგილობრივი პროდუქცია უნდა იყოს, თორემ ხალხი მშიერი მოკვდება და მიხმარება უნდა. ეს, თავისთავად, მისი უაზრო პოლიტიკის შედეგია. პარლამენტში რომ ვიყავით, მაშინ ბენდუქიძე იყო ეკონომიკის მამა, რუსეთიდან საქართველოს დასაქცევად ჩამოთრეული. მას ვუკიჟინებდით, უამრავი გამოსვლა გვქონდა პარლამენტში პლენარულ თუ საკომიტეტო სხდომებზე, რათა მომხდარიყო სოფლის მეურნეობის სუბსიდირება, მევენახეების წახალისება, ღვინის მეწარმეების სუბსიდირება, რათა ყურძნის ფასი ნორმალური ყოფილიყო. ანტიდემპინგური კანონი უნდა მომზადდეს და შეიზღუდოს ისეთი პროდუქციის შემოტანა, რაც გულისხმობს საბაჟო გადასახადის აწევას, რომელიც შიგნით, ქვეყანაში იწარმოება. გარდა ამისა, გარკვეული შეზღუდვები უნდა დაწესებულიყო. ასევე სუბსიდირების სახით ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა უნდა მომხდარიყო, რომ შიდა ბაზარი მათ მიერ მოყვანილი პროდუქციით გაჯერებულიყო. სიტყვების რახარუხი იქნება, რომ გითხრათ, ბენდუქიძემ ასეთი მყრალი პასუხი მოგვცა. როცა ამდენი წელი ხელისუფლებაში ხარ და ახლა რომ გაგახსენდება სოფლის მეურნეობა, რაზეა საუბარი. საერთოდ, რა იცის სააკაშვილმა სოფლის მეურნეობის? რატომ უნდა შემოვიტანოთ კარტოფილი და პამიდორი თურქეთიდან, კორეიდან და ჩინეთიდან სხვა პროდუქტები, როდესაც აქ წარმოება შეგვიძლია? ხელისუფლებამ არ დააწესა ისეთ პროდუქტების შემოტანაზე შეზღუდვები, რომელთა წარმოება საქართველოში ადგილზე შეიძლება. პამიდორი ერთი საუკუნის წინ შემოვიდა საქართველოში, მაგრამ მისი მოყვანა სრულად შეითვისა ქართველმა გლეხმა და საჭირო არ არის მისი თურქეთიდან შემოტანა. საქართველოში გაცილებით ხარისხიანი პროდუქცია იწარმოება.

***— ანუ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ბურების ჩამოყვანა სულაც არ სჭირდება?***

— რა თქმა უნდა, არა. რა ბურები, რის ბურები? საქართველოში ყველაფერი უკუღმა კეთდება. სოფლის მეურნეობის მინისტრი ძროხაზე რომ იტყვის, „მამალი ძროხა" უნდა მოვაშენოთო, იმას რა უნდა უთხრა?

***— ბატონო ბიძინა, სოფლის მეურნეობის მინისტრი ჯერ ხომ სასწავლებლად არ გაუგზავნიათ. სასწავლებლად რომ გააგზავნიან, ამას შემდეგ ისწავლის.***

— ამას სწავლა რად უნდა? სოფელში არ ყოფილა? არდადეგებზე მაინც უნდა წასულიყვნენ სულელი მინისტრები სოფელში, რომ სოფლის საკითხები ესწავლათ, ან აგრარული უნივერსიტეტი მაინც უნდა ჰქონდეს დამთავრებული. საკითხავია, რისი სპეციალისტია, სოფლის მეურნეობის მინისტრად კვეზერელი რა ნიშნით დანიშნა? კახელი რომ არის, მინისტრად იმიტომ დანიშნა? სწორედ მაგის დროს იყო, კახეთში გლეხებმა ვენახის გაჩეხა რომ დაიწყეს, იმიტომ რომ არაფრად ულირდათ. არც ახლა არ უღირთ. მაშინ ჩვენ შევაჩერეთ. ბევრმა ვენახი მაინც აჩეხა და ატმისა და სხვა კულტურების მოყვანა დაიწყო. ხელისუფლებამ წაახალისა, თუ თქვენ ამდენ ჰექტარს აჩეხთ, ფულს გადაგიხდითო და ჰექტარი ვენახის აჩეხისთვის 1500 ლარს აძლევდნენ. ჩვენი ხმაურის შემდეგ ვენახის აჩეხის პროექტი შეჩერდა.

***— სააკაშვილი ელექტროენერგიის ინვესტირებით იქებს თავს, მაშინ როცა საქართველოს მთელი ენერგოსისტემა რუსეთის ხელშია.***

— როცა მოუნდება რუსს, მაშინ შეაჩერებს საქართველოსთვის ელექტროენერგიის მოწოდებას. ჩუბაისის გეგმა თუ გახსოვთ? ჩუბაისმა თქვა, დამთავრდა ხიშტებით ქვეყნების დაპყრობა, მოვიდა დრო, ეკონომიკის ხელში ჩაგდებით გავლენა მოვახდინოთ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ჩვენს ინტერესებშიაო. ეს მშვენივრად განახორციელებინა სააკაშვილმა. ამ დროს პრორუსულობას ჩვენ გვაბრალებს.

***— უცხოელი ჟურნალისტი სააკაშვილის აზრს გადმოგვცემს, რომ თურმე „ენერგეტიკის ინვესტირების გამო" „ყოველ ზამთარს კრემლთან დიპლომატიური მორჩილების დადასტურება არ სჭირდება". ეს კი ისეთ თვითდარწმუნებას ანიჭებს, როგორიც რეგიონის სხვა ლიდერებს არ გააჩნიათო. თქვენ რუსეთთან ურთიერთობაში სააკაშვილის თვითდარწმუნების გჯერათ?***

— არაფერი... სააკაშვილი რუსულ საქმეს მშვენივრად აკეთებს. რეგიონის ხელმძღვანელებში ვის გულისხმობენ, გაუგებარია — აზერბაიჯანს ნავთობი აქვს, არ უჭირს და ამ რეგიონში ძალიან ძლიერი მოთამაშეა. სომხეთს ატომური ელექტროსადგური აქვს და ისედაც რუსეთის მოკავშირეა. ეს შეკვეთილი სტატია და სააკაშვილი ქება-დიდებაა.

***— თქვენ ბურების ჩამოსახლების პროცესს როგორ შეეწინააღმდეგებით?***

— საპროტესტო აქციები იქნება, სადაც გავაპროტესტებთ მთელ იმ ბაკქანალიას, რომელიც არსებობს. არა მგონია, ქართველი კაცი ამას არ გამოეხმაუროს. იქნება მძლავრი საპორტესტო ტალღა.

## ბაკურ კვეზერელი: ამ ეტაპზე სანქციები არც ერთ საწარმოს არ დაუწესდება



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის განცხადებით, კერძო საწარმოთა მონიტორინგის შედეგად.

სანქციები ამ ეტაპზე არცერთ საწარმოს არ დაუწესდება.

ჟურნალისტებთან საუბრისას იგი ამავე უწყების სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კერძო საწარმოების მონიტორინგის პროცესის დაწყებას გამოეხმაურა.

მისი განმარტებით, შემოწმება იმ მიზნით ტარდება, რომ ხარვეზები მეწარმეებთან ერთად აღმოიფხვრას. უპირველესად, მოხდება მათი იდენტიფიცირება. ამის შემდეგ კი მეწარმეებს ხარვეზების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რეკომიენდაციები გაეწევათ. სანქციები კი მხოლოდ მომავალი წლიდან დაწესდება.

**მედიანიუსი**

## კახა კუკავა ტელეკომპანია „იმედს“ პროკურატურაში უჩივის



მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მის შესახებ გასული სიუჟეტი, არხის მმართველს გიორგი არველაძეს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაუკვეთა.

მისი თქმით, საზოგადოებამ გუშინ კიდევ ერთი მოდელირებული „ქრონიკა“ იხილა და ჭორები გიორგაძის, მასხულიას და სხვათა ფინანსების შეხახებ, გიორგი არველაძის და მისი დამკვეთების არაჯანმრთელი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც არაფრით არ დასტურდება.

— თავისთავად, ინფორმაცია ტერორიზმის ბრალდებით ძებნილი პირის და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის კავშირის შესახებ, წარმოადგენს კრიმინალს, ამიტომ ჩვენ მივმართავთ მთავარ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება და დაადგინოს, საიდან ფლობს ბატონი არველაძე ამ ინფორმაციას, თავის მხრივ, კახა კუკავა მზადაა უპასუხოს პრკურატურის ნებისმიერ შეკითხვას მოცემულ საქმეზე. როგორც ჩანს, პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეშფოთებულია ჩვენი მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ბოლოდროინდელი აქტივობით და განსკაუთრებით ჩვენი მოძრაობის წარმატებული ვიზიტით სტრასბურგში, სადაც დღის წესრიგში დადგა კონკრეტული ინიციატივები საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებათა გმოძიების შესახებ“, — აცხადებს კახა კუკავა.

ცნობისთვის: დღეს ტელეკომპანია „იმედში“ თვითრეგულირების მექანიზმების ფარგლებში, დაგეგმილია მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ საჩივრის განხილვა ამავე ტელეკომპანიის ეთერით გასულის სიუჟეტის „კახა, კობა და ოკუპანტების“ გამო, რომელიც კახა კუკავას და კობა დავითაშვილის სტრასბურგში ვიზიტს შეეხებოდა.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის დაფინანსების შეზღუდვას აპროტესტებენ

ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახა ძაგანიას განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან სტუდენტებისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეზღუდვა, უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვასაც ნიშნავს, რაც უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდის განათლების გარეშე დატოვებას გამოიწვევს. უმაღლესი განათლება გახდება ელიტარული და ხელმისაწვდომი მხოლოდ მდიდრებისათვის.

ლეიბორისტული პარტია მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, თავი დაანებოს უნივერსიტეტებს, სტუდენტებს, სტუდკავშირებს და ნუ იყენებს მათ პოლიტიკური მიზნებისათვის.

ძაგანია სტუდენტებს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს, რადგან მისი თქმით, სტუდენტები ქცეულნი არიან სააკაშვილის მეხოტბეთა კასტად.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტები სახელმწიფო გრანტს მხოლოდ უმაღლესი ქულების მიღების შემთხვევაში მიიღებენ.

**მედიანიუსი**

## ალექსანდრე ებრალიძის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები დასახელდა



ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაარსებული ისტორიულ-ლიტერატურულ პრემიის „დავით აღმაშენებელი“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამრთულ პრესკონფერენციაზე კონკურსის გამარჯვებულები საქართველოს ხალხთა მსოფილო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა ნანა ჯაფარიძემ გამოაცხადა.

ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსი „დავით აღნაშენებელი“ უკვე მეორე წელია ტარდება და მისი მიზანი ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების პოპულარიზაციაა.

პრესკონფერენციაზე ონლაინ რეჟიმში ცაერთო კონკურსის დამაარსებელი, ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე.

„ჩემი დიდი სურვილია, რომ ეს კონკურის მომავალ წელსაც ჩატარდეს და გაიზარდოს მისი მასშტაბი. სამწუხაროა, რომ ჩვენი და საქართველოში ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლების შესაძლებლობათა შეზღუდვა, ჩემს სურვილის სწრაფად განხორციელებას ხელს უშლის, ამიტომ ვეცდებით ნელნელა წავიწიოთ წინ“, — აღნიშნა მან.

ებრალიძის თქმით, მისი სურვილია საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რათა დაბრუნდეს სამშობლოში და საკუთარი ფიზიკური, ინტელექტუალური და მატერიალური შესაძლებლობები ქართველ ხალხს მოახმაროს.

წლევანდელი კონკურსის საპრიზო ფონდი 95 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც 17 ლაურეატზე გადანაწილდა. პირველი ხარისხის მფლობელებს მანანა ჩიტაძეს, ალექსანდრე ქურდაძეს, ნუგზარ ანთელავას, ანზორ თოთაძეს და რეზო ემელიანეს 10-10 ათასი ლარი გადეცათ, დაანრჩენ ნომინანტებს კი — 5-5 ათასი ლარი. კონკურსში მონაწილეობისთვის სულ 100 განაცხადი იყო შესული, საიდანაც საკონკურსოდ 70 შეირჩა. სპეციალური პრემია მიენიჭა ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძეს ჟურნალისტური პუბლიკაციებისთვის და წიგნისთვის „საუბრები ჟურნალისტიკაზე“.

**მედიანიუსი**


**ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობის „კრწანისი-90, 1-2-კორპუსის“ წევრთა საყურადღებოდ:**

2011 წლის 20 თებერვალს ტარდება, „ი.ბ.ა „კრწანისი-90, 1-2-კორპუსის“ წევრთა საერთო კრება. საერთო კრება ჩატარდება ქალაქ თბილისში ჭონქაძის ქუჩა №18-ში. დღის წესრიგში დგას ი.ბ.ა. „კრწანისი-90, 1-2 კორპუსის“ რეგისტრაციის განახლება და განახლებული ამხანაგობის ქონების (საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის) სამართალმემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტა.

დასწრება სავალდებულოა.

*ამხანაგობის წევრთა საინიციატივო ჯგუფი*


# ვინ მფარველობს სურსათის მაფიას

### რატომ არის სომხეთში შაქარი უფრო იაფი, ვიდრე საქართველოში

შორენა გონგლაძე



## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

***— ბატონო გიორგი, რას ელოდებით პრეზიდენტის გამოსვლისგან, როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალური იქნება პრეზიდენტის მიერ გასული წლის შედეგების შეფასება?***

— სიმართლე გითხრათ, რაღაც განსაკუთრებულს პრეზიდენტის გამოსვლისგან ნამდვილად არ ველოდები. სააკაშვილი იმაზე მეტს არაფერს იტყვის, რასაც ამ წლების განმავლობაში ამბობს. ეს ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ, წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დღეს საქართველოს მოსახლეობას აქვს ელექტროენერგია, დაიგო გზები, განათდა ქუჩები. ეს არის ის ჩამონათვალი, რითიც შეიძლება, ამ ხელისუფლებამ თავი მოიწონოს, მაგრამ, რის ფასად გაკეთდა ეს ყველაფერი და რა უჯდება მოსახლეობას განათებულ სახლებსა და ქუჩებში სიარული, ამაზე უკვე აღარ საუბრობენ. ეს ყველაფერი, მართალია, საკმაოდ მოძველებული თემებია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ისევ ამ საკითხებზე ისაუბრებს. სააკაშვილი არ ისაუბრებს ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონზე, გადაჭედილ ციხეებზე, პოლიტპატიმრებზე, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასე შემდეგ. ეს საკითხები წინ უნდა წამოსწიოს უკვე საპარლამენტო ოპოზიციამ და, ძალიან მაინტერესებს, ხელისუფლება რითი გაიმართლებს ამ შემთხვევაში თავს. საინტერესოა, რატომ არის სომხეთში შაქარი გაცილებით იაფი და საქართველოში — ძვირი, მაშინ როდესაც საქართველო არის ტრანზიტური ქვეყანა და სომხეთი სწორედ საქართველოს გავლით იღებს შაქარს. ასევე, რატომ მოიმატა პურსა და სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასებმა? გვითხრას ვინ უმატებს საკვებ პროდუქტებზე ფასებს. ვინ მფარველობს სურსათის მაფიას. კიდევ სხვა ძალიან ბევრი საკითხია, რაზეც, მიმაჩნია, რომ სააკაშვილმა უნდა გასცეს პასუხი და ის ოპოზიცია, რომელიც არის პარლამენტში, ვფიქრობ, ვერც ისინი ვერ აუვლიან ამ საკითხებს გვერდს და აუცილებლად იქნება გამახვილებული ყურადღება ამ საკითხებზე. საერთო ჯამში, ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია შექმნილი. ვფიქრობ, ამ ყველაფერს თავისი ლოგიკური შედეგი აუცილებლად მოჰყვება. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოებას ერთ დღესაც საერთოდ არ დასჭირდეს პოლიტიკური ლიდერი და გამოვიდეს ქუჩაში. მრავალი პარალელის გავლება შეიძლება ასევე სააკაშვილსა და მუბარაქს შორის. ისიც სააკაშვილივით რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში, გამოირჩეოდა პროამერიკული კურსით, მანაც გაატარა რეფორმები და ასე შემდეგ, მაგრამ დღეს ვხედავთ, როგორი დაძაბული ვითარებაა ეგვიპტეში. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ, იმ პროცესებიდან, რომლებიც მიმდინარეობს ეგვიპტეში, საკმაოდ ლოგიკური დასკვნა უნდა გამოიტანოს და საკუთარ ხალხს გაცილებით მეტი პატივისცემითა და ყურადღებით მოექცეს. სხვა შემთხვევაში, ქვეყანაში სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნება.

***— სააკაშვილი, რა თქმა უნდა, თავისებურად შეაფასებს განვლილ წელს. თქვენ, როგორც ოპოზიციონერი, როგორ შეაფასებთ განვლილ წელს? როგორი იყო იგი პოლიტიკური, ეკონომიკური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?***

— ყველაზე მეტად დამძიმდა ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება. გასულ წელს გაცილებით მეტი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე. ფაქტიურად, მოისპო მცირე ბიზნესი, ქვეყანა შიმშილის ზღვარზეა მისული. ამ ფონზე, ძალიან მაინტერესებს, რაზე ისაუბრებს სააკაშვილი. დარწმუნებული ვარ, ისევ იმ ძველი საკითხებით დაიწყებს აპელირებას. დროა, ამ ხელისუფლებამ თვალი გაუსწოროს შექმნილ ვითარებას და მხოლოდ პიარით არ იყოს დაკავებული.

***— რაც შეეხება ოპოზიციას, რისი იმედი აქვს მას, როდესაც კეთდება განცხადებები, რომ გაზაფხულზე ეს ხელისუფლება უკვე აღარ იქნება. ჩვენ ასეთი არაერთი არაფრისმთქმელი განცხადება გვახსოვს ოპოზიციისგან.***

— ოპოზიციური პარტიის ლიდერი როდესაც ამ ტიპის განცხადებას აკეთებს და თან მშვენივრად იცის, რა მდგომარეობაშიც არის საერთოდ ქართული ოპოზიცია, ეს, სულ ცოტა, სიბრიყვეა. არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ოპოზიციამ ქუჩაში გამოიყვანოს იმდენი ხალხი, რომ მათ მოახდინონ ხელისუფლების შეცვლა. სხვა საკითხია ის, რომ შესაძლოა საზოგადოება ქუჩაში გამოვიდეს შექმნილი უმძიმესი ფონიდან გამომდინარე. მე არ ვიცი, რა გათვლებს ეყრდნობიან ის ადამიანები, რომლებიც ასეთ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებას ერთნაირი აგრესია გააჩნია ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიმართ. არავინ იფიქროს, რომ ოპოზიციას ხელისუფლებისგან რაიმეთი ასხვავებდეს ქართველი საზოგადოება. მეტიც, ის, რომ სააკაშვილი დღეს ხელისუფლებაშია, დიდი დამსახურებაა იმ ე.წ. ოპოზიციისა, რომელმაც სააკაშვილს შეუქმნა იმის პირობა, რომ ამდენი წელი მშვიდად ყოფილიყო ხელისუფლებაში. სწორედ მათ უნდა გადაინაწილონ პასუხისმგებლობა ყველა იმ შეცდომაზე, რომლებიც ამ ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ჩაიდინა. მერწმუნეთ, თავის დროზე რომ ეს ე.წ. ოპოზიცია ჩამოშორებოდა პოლიტიკურ პროცესებს, ყველაფერს მიიყვანდა ხალხი თავის ლოგიკურ დასასრულამდე და შედეგი გაცილებით უკეთესი იქნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ საკითხში არ ვეთანხმები ამ ხელისუფლებას, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლისა. არც ერთი ქვეყნისთვის ამ მეთოდს კარგი არაფერი მოუტანია და ჩვენც სახეზე გვაქვს ამის მაგალითი. კიდევ ერთი რევოლუცია ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარება იქნება, ამიტომაც ამას არასოდეს დავუჭერ მხარს. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. რეალურმა ოპოზიციამ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გავძლიერდეთ და არჩევნებზე მოვახდინოთ რეალური ცვლილებები. ოპოზიციის დაქსაქსულობითა და ერთმანეთში კინკლაობით მხოლოდ ხელისუფლება რჩება მოგებული.

## გარემოს დაცვის სამინისტროს რამდენიმე ფუნქციას ჩამოართმევენ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაცია განხორციელდა. შესაბამისი გადაწყვეტილება დღეს მთავრობის სხდომის მონაწილეებს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გააცნო. მისი თქმით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რეორგანიზაციის სხვადასხვა ვარიანტის შემუშავება რამდენიმე კვირის წინათ დაავალა. პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი ვარიანტები გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად განიხილა. განსახილველი ვარიანტით გარემოს დაცვის სამინისტროს რამდენიმე ფუნქცია სხვა უწყებებს გადაეცემა. კერძოდ, გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური საკითხების შესწავლა კვლავაც გარემოს დაცვის სამინისტროს პრეროგატივა იქნება.

ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების ფუნქცია კი ენერგეტიკის სამინისტროს მიენიჭება. ამავე უწყებაში გადავა ბუნებრივი რესურსების ათვისება-გამოყენება და ლიცენზირების გაცემის მიზნით აუქციონების ჩატარების ფუნქცია.

როგორც ცნობილია, ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების მიზნით აუქციონების მოწყობის უფლება აქამდე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჰქონდა.

ნიკა გილაურის ინფორმაციით, გარემოს დაცვის სამინისტროდან ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა დაცული ტერიტორიების მართვა და იგი საჯარო სამართლის ისეთივე იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება, როგორიც ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში ტურიზმის სააგენტოა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტს უახლოეს დღეებში წარედგინება. შესაძლოა, გარემოს დაცვის სამინისტრო სახელმწიფო მინისტრის აპარატად ჩამოყალიბდეს, ხოლო ენერგეტიკის სამინისტროს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სამინისტრო ეწოდოს.

**მედიანიუსი**

## რუსულმა სასამართლომ გურამ აბსანძის არყის კომპანიას ჯარიმა დააკისრა

გურამ აბსანძის არყის კომპანიის წინააღმდეგ სმოლენსკში კომპანია „ლაღიძის წყლების“ მიერ შეტანილი სარჩელი სასამართლომ დააკმაყოფილა.

კომპანია „ლაღიძის წყლების“ დირექტორის მოადგილე ნანა ჩახაიამ განაცხადა, გურამ აბსანძეს ლაღიძის წყლების სახელი ლიმონათის გამოშვებული ლიმონათის წარმოება აეკრძალა და მის არყის ქარხანასაც პრობლემები შეექმნა.

„სასამართლო პროცესი დაახლოებით წელიწადნახევარი გრძელდებოდა. გურამ აბსანაძე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი პარტნიორი იყო რამაზ ლაღიძე, „ლაღიძის წყლების“ დამაარსებლის შთამომავალი და შესაბამისად, ამის სახელით გამოშვებული ლიმონათზე საავტორო უფლება მხოლოდ მას ჰქონდა“, — აღნიშნა ჩახაიამ.

მისი თქმით, აღნიშნულ პიროვნებას რამაზ ლაღიძეს კავშირი არ აქვს „ლაღიძის წყლების“ რეალურ დამაარსებელთან მიტროფანე ლაღიძესთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტროფანე ლაღიძეს მართლაც ჰყავდა შვილი, აკადემიკოსი რამაზ ლაღიძე, რომელსაც აღნიშნულ პიროვნებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

კომპანია „ლაღიძის წყლების“ დირექტორის მოადგილე ნანა ჩახაიას განმარტებით, ფალსიფიცირებული ლაღიძის წყლები რუსეთში ქართული „ლაღიძის წყლების“ პატრნიორმა კომპანიამ, ტიხვინის ლიმონათის ქარხანამ აღმოაჩინა.

სმოლენსკის სასამართლომ გურამ აბსანძის არყის ქარხანას ფულადი ჯარიმის სახით 112.000 მანეთი დააკისრა. თუმცა, ნანა ჩახაიას თქმით, კომპანია „ლაღიძის წყლები“ და ტიხვინის ქარხანა აბსანძის კომპანიისთვის სხვა ფულადი ჯარიმის დაკისრებასაც მოითხოვს.

**მედიანიუსი**

ირაკლი ლომოური

# მკვლელობა არქეოლოგიურ ექსპედიციაში

*(ციკლიდან „კერძო დეტექტივი ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ელისაგატა“)*

ჩოგბურთის კლუბიდან მე და ელისაგატა, ანუ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ღამის კლუბ „იპანემაში“ წავედით, თუ გახსოვთ (ასე მთავრდება ირაკლი ლომოურის ნოველა „მკვლელობა ჩოგბურთის კლუბში“ — რედ.შენ.).

ასტრიდ ჟილბერტოს სევდანარევ-მელანქოლიური სამბა ისედაც ყოველთვის მომწონდა გულის სიღრმეში, იმ ღამით კი, შეიძლება ითქვას, სულაც შემიყვარდა, — მყუდრო დარბაზის კუთხეში ვისხედით, თეჯირსმოფარებულები, ვწრუპავდით ვისკის, ვუსმენდით Girl From Ipanema-ს და ამქვეყნად თითქოს აღარავინ და აღარაფერი გვინდოდა. თუმცა, შესაძლოა, ეს შეგრძნება კიდევ იმიტომაც გამიჩნდა, რომ სასტიკად დავიქანცეთ — ჩოგბურთის კლუბში დატრიალებულმა ამბებმა, ლინდა ვოინოვას მკვლელობის გახსნა-გამოძიებამ იმდენი ენერგია და ნერვები წაგვართვა, უბრალოდ, გამოვიფიტეთ, — ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, ნამდვილად.

ღამის სამი საათი სრულდებოდა.

მაგრამ დალოცვილმა ბრაზილიურმა ყავამ, უფრო კი, ალბათ, შოტლანდიურმა ვისკიმ (ან ორივემ ერთად), მართლაც რომ მაგიური ზემოქმედება მოახდინა და უეცრად ისე ფხიზლად ვიგრძენი თავი, თითქოს გემოზე გამომეძინოს, — თანაც, ამასთან ერთად, რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ აშკარად ნეტარი შეგრძნებაც გამიჩნდა ენის წვერზე (თუ წვერში), — არ ვიცი, რატომ. ელისს თვალებში ჩავხედე, — ეტყობა, მასაც გაეხსნა მეორე თუ ოცდამეორე სუნთქვა, — აშკარად აუციმციმდა მომწვანო თვალები.

„არადა, გვარიც კი არ ვიცი“, — გამიელვა უცებ.

— ჩემი გვარი გაინტერესებთ? — გამიღიმა.

დამახველა. მერე ენაც დამება.

— ეე... მმ... და საიდან მიხვდით?

ელისმა შემხედა, თავი ველარ შეიკავა და გადაიკისკისა, პატარა გოგონასავით.

— რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ოდესმე ხომ უნდა გეკითხათ?

თავი დავუქნიე, მეთქი, მართალია, გეთანხმებით.

— ჩემი გვარია ჩერქეზიშვილი, ბებიისა კი, მამაჩემის დედის, ბელენტაინი...

— როგორც ვისკის... — წამომცდა, შემრცხვა და ეს რომ დამეფარა, სასწრაფოდ გავაგრძელე, — ბებია ინგლისელი გყავთ? საქართველოში საიდან მოხდა?

— მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოვიდა, მოკავშირეთა სამხედრო მისიას ჩამოჰყვა თბილისში.

— სამხედრო იყო?!

— არა, თარჯიმანი.

— ქართული იცოდა? — ისევ გამიკვირდა.

— არა, რუსული. პირველი ქმარი რუსი ჰყავდა, გრაფი რასტოპჩინი.

— და ბაბუათქვენი როგორ გაიცნო?

— შემთხვევით. თუმცა მოსაყოლად დიდი არაფერი ისტორიაა. გაიცნო ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი, შეუყვარდა, გაჰყვა, დაქორწინების უფლებას არ აძლევდნენ, ბევრი იწვალეს, მერე ბაბუა დაიჭირეს და დახვრიტეს. ბებია კი გადაასახლეს...

— ინგლისელი? — რატომღაც ვერ დავიჯერე.

— საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა მიიღო. თანაც მაშინ ცივი ომი უკვე გიზგიზებდა...

— კალამბურ... — ჩავილაპარაკე, — მომიყევით, თუ შეიძლება,.. მიყვარს რომანტიკული ისტორიები!

— გედი, თუ ფიქრობთ, რომ ბებიაჩემის ისტორიას რომანის სიუჟეტად გამოიყენებთ, პირდაპირ გეტყვით, არც არაფერია განსაკუთრებით ორიგინალური. მაგრამ თუ გინდათ, უკეთეს სიუჟეტს მოგიყვებით.

— მინდა! — წამითაც არ დავფიქრებულვარ.

— ცხადია, გენდომებათ, — ელისმა ალმაცერად გაიღიმა და ვისკი მოწრუპა, — თქვენ ხომ იმიტომაც დაინტერესდით ჩემი პერსონით, რომ ბომონდის ორმოციოდე პროცენტის ფსიქო... მესაიდუმლე ვარ, ასე ვთქვათ, და უამრავი სიუჟეტი შეიძლება დამცინცლოთ?

— არა, არა, როგორ გეკადრებათ! — გავაპროტესტე, მაგრამ ელისის მომწვანო-მოციმციმე მზერას ველარ გავუძელი და ეგრევე გამოვტყდი, — კი, მართალია, თავიდან ვფიქრობდი ამას, ოღონდ მხოლოდ თავიდან!

— თუმცა ყველაზე უცნაურია, რომ, — ჩაილაპარაკა, წამით დადუმდა, — მე თვითონ მინდა მოგიყვეთ... მაინც მინდა.

— რა იმალება ჩოგბურთის კლუბის სარდაფებში? — შევახსენე, — თქვენი ვერსია, ანუ თურქეთ-ერაყის საზღვარზე დაღუპული ქურთი ძმაკაცის ისტორია...

— არა, მაგას სხვა დროს მოგიყვებით, — თავი გააქნია ელისმა, — ეგ ამბავი პოლიტიკას უკავშირდება, პოლიტიკა კი...

ისევ პაუზა გააკეთა.

— არ მევასება.

გამიკვირდა, ცოტა არ იყოს, ასე ქუჩურად თუ ძველბიჭურად რომ მოუქცია, — „არ მევასება“. მაგრამ, ეტყობა, განზრახ თქვა, ემოციური დამოკიდებულების უკეთ გამოსახატად.

— აბა, რას მომიყვებით?

— სულ პირველ შემთხვევას. — ჩაილაპარაკა მცირე პაუზის შემდეგ, — ჩემს პირველ საქმეს, სტუდენტობის დროინდელს, თუმცა, „საქმე“ არ ყოფილა პირდაპირი გაგებით, რადგან ჩემთვის არავის უთხოვია გამოძიება, მაგრამ იმ შემთხვევამ მთელი ჩემი ცხოვრება გადაატრიალა. თავდაყირა დააყენა. ფსიქოლოგიც ამიტომ გავხდი.

კინაღამ ხელები მოვიფშვნიტე სიამოვნებისგან, უფრო სწორად, კიდეც მოვიფშვნიტე, ოღონდ გონებაში. ელისმა სიგარეტის კოლოფიდან („ჟიტანს“ ვეწევი) ერთი ღერი ამოიღო, მაგრამ კი არ მოუკიდა, არამედ დაშლა-დაქუცმაცება დაიწყო, — ადრეც შევნიშნე, ჩოგბურთის კლუბში გააკეთა იგივე, ეტყობა, ჩვევად ჰქონდა, — ქაღალდს ციცქნა ნაკუწი აახია, ცოტაოდენი თამბაქო გადმოყარა, გასრისა ორი თითით, მერე კიდევ და კიდევ...

— თავიდან არ იყავით ფსიქოლოგი? აბა, ვინ?

— არქეოლოგი. არქეოლოგობას ვაპირებდი, სადიპლომოს ვწერდი უკვე სათხედის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. დიდი ხნის ამბავია. სათხედში ნამყოფი ხართ? — უცებ მეკითხება.

— სათხედში? — დავფიქრდი, — სათხედი, სათხედი... არა, არა ვარ.

— გენიალური ადგილია, — თქვა ელისმა და საყვედურივით გააგრძელა, — აქამდე როგორ არ გინახავთ? აუცილებლად სანახავია.

— სათხედი რამეს ნიშნავს? სადაა, რომელ მხარეს?

— ქვემო ქართლში. საბას თანახმად, სათხედი მოკლე შუბია, ხელშუბი.

ელისმა თვალები დახუჭა. შუბლი შეეჭმუხნა. დიდხანს არ ამოუღია ხმა. უკვე რაღაცის თქმა დავაპირე, სულერთია რის, ჩასახველებლადაც კი გავემზადე, მაგრამ თვალი გაახილა, შემომხედა სერიოზული სახით და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— გენიალური ადგილია. ოღონდ ჯოჯოები იცის იქ, ბლომ-ბლომად ჯოჯოები.

— ჯოჯოები? ხვლიკებს გულისხმობთ?

— ხვლიკებსაც... მოკლედ, სტუდენტი ვიყავი, ერთი პატარა, გულუბრყვილო გოგონა, როგორც ახლა ვხვდები, მაგრამ მაშინ თავი მეგონა მაგარი ანალიტიკოსი. აგატა კრისტის ვკითხულობდი ბავშვობიდან. ჩესტერტონსა და რექს სტაუტს. თუმცა დეტექტივს რეალურ ცხოვრებასთან საკმაოდ ალმაცერი მიმართება აქვს...

— ალმაცერი?

— ირიბი. ცხოვრება სულ სხვა ოპერაა.

— თუ პირიქით? — გავაწყვეტინე, — დეტექტივია სინამდვილეში ოპერა, ოღონდ, ცხადია, არა საპნის, არამედ, მმმ... გლინტვეინის!

— გინდათ თქვათ, რომ ცხოვრებაში ისე არ ხდება, როგორც დეტექტივებში?

— თქვენც მაგის თქმა არ გინდათ? — გამიკვირდა.

— არა, მთლად არა. აი, თავად განსაჯეთ.

და ელისმა მიამბო ისტორია, რომელსაც მოთხრობის სახით გთავაზობთ, მართალია, მონოლოგის, უფრო სწორად, მონოლოგ-დიალოგის ფორმა ძირითადად შევინარჩუნე, მაგრამ, მეორე მხრივ, დოქტორ უოტსონის ამპლუა მაინცდამაინც არ მხიბლავს, — ბოლო-ბოლო, პროფესიონალი მწერალი ვარ, უბრალოდ ამბების ჩამწერი კი არა! — და ამიტომ, თავს უფლება მივეცი ალაგ-ალაგ რაღაც-რაღაცეები ჩამემატებინა, ასე ვთქვათ, გამემხატვრულებინა. ოღონდ მთავარი ხაზი, ცხადია, უცვლელად დავტოვე.

ელისმა თავი გაქნია ისე, თითქოს „ჩოლკა“ (ქართულად რომ „წინამო“ ჰქვია) თვალებზე ჩამოეშალაო, — ამ დროს, თმები კეფაზე ჰქონდა გუნდად შეკრული და შუბლს არც არაფერი უფარავდა, — გახსნილი შუბლი აქვს. ისევ დასეირიოზულდა, ვიქტორიანული რომანის გმირის, დედით ობოლი პატარა ლორდის აღსაზრდელად მიწვეულ კერძო მასწავლებელს დაემსგავსა, ხნოვან ლორდს რომ შეიძლება შეუყვარდეს... ანდა, არც შეუყვარდეს. პირიქით, შესძულდეს.

— სათხედი უნიკალური ძეგლია, რადგან იქ თვალნათლივაა წარმოდგენილი ყველა კულტურულ-ისტორიული შრე თუ ფენა, დაწყებული ადრებრინჯაოდან, დამთავრებული გვიანფეოდალურით, — დაიწყო ელისმა ლექტორივით, თუ ექსკურსიამძღოლივით, — მაგრამ ჩვენ ისტორია კი არ გვაინტერესებს, არამედ ცოცხალი ადამიანები...

— მხოლოდ ცოცხალი? — გავაწყვეტინე.

— მმ... გინდათ მკითხოთ, ამ ამბავში ფიგურირებს თუ არა გვამი?

თავი დავუქნიე.

— ფიგურირებს, თანაც, ერთის მაგივრად ორი!

— რაც მეტი, მით უკეთესი! — ჩამეცინა.

— თქვენი სიცილი, ბატონო გედი, სრულიად უადგილოა! — მეუბნება უცებ არათუ ცივად, არამედ რაღაცნაირად უკმეხად, სუსხიანად... „საწყალი პატარა ლორდი“, გამიელვა... მაგრამ არ შევეპუე.

— რატომ? ფაფას კარაქით ვერ წაახდენ, როგორც ცხონებული კისა ვორობიანინოვი იტყოდა, — ვეუბნები მიამიტი ღიმილით.

— მე გამოგონილ დეტექტივს კი არ გიყვებით. ეს ორი ადამიანი მართლა მოკვდა. ჩემ თვალწინ...

— მერე, თუ მიყვებით, მომიყევით!

ელისმა მეორე ღერი ამოიღო და შუაზე გადატეხა. „ეე, ეგრე ხო გათავდა!“ — გამიელვა, მაგრამ არაფერი მითქვამს. უეცრად ღრმად ამოისუნთქა, თავი გააქნია, თითქოს რაღაცის ამოგდება უნდაო გონებიდან, მერე შემომხედა, გამიღიმა და მითხრა:

— სიგარეტზე ნუ დარდობთ, ჩემზე იყოს.

— როგორ გეკადრებათ, — ვიწყინესავით, თანაც ვფიქრობ, „ტელეპატკააა, ოხერი?!“

— ისე, მართალი ხართ, ამდენი შესავლები არაა საჭირო. საქმეზე გადავდივარ. ეხლავე, — ვისკი მოწრუპა, თვალები მოჭუტა და დაიწყო, — ექსპედიცია დიდი იყო, ბლომად ხალხი მუშაობდა, მაგრამ მაშინ, როცა ეს ამბავი დატრიალდა, საველე სეზონი ახალგახსნილი იყო, თანამშრომლების ნაწილი თბილისში ჩარჩა, ექსპედიციის ხელმძღვანელ, აკადემიკოს მამამთავრიშვილიანად. რაღაც პრობლემები გაჩნდა მოულოდნელად დაფინანსების მხრივ. საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ქვეყანა აირ-დაირია. თუმცა, ექსპედიციას სინამდვილეში ისედაც პროფესორი მანონ გორგოძე მართავდა და არა აკადემიკოსი მამამთავრიშვილი. ოფიციალურად ქალბატონი მანონი მისი მოადგილე გახლდათ. სწორედ მასთან ვაკეთებდი დიპლომს. რომ წარმოიდგინოთ, რა მაგარი ხასიათის პატრონი იყო, ერთ მეტსახელს გეტყვით, რომელსაც ზოგჯერ ვეძახდით, ოღონდ, ცხადია, ზურგსუკან, ჩუმად — მედუზონ გორგონოძე.

— რა იყო ეგეთი? მართლა გაშეშებდათ თუ?

— თითქმის. გაუთხოვარი, მკაცრზე მკაცრი, პედანტი, წესრიგისა და დისციპლინის მოყვარული, საოცრად მომთხოვნი, უაღრესად საქმიანი, უფრო სწორად, საქმის ფანატიკოსი. შეეძლო არ ესვა, არ ეჭამა, არ დაესვენა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანდა საქმეს. ვთქვათ, არ გახსნიდა სამარხსა თუ ქვაყუთს.

— ეგეთი ტიპი კი შეგაჯავრებდათ არქეოლოგიას...

— არა, პირიქით! როგორც ხელმძღვანელი, მშვენიერი იყო, მაგრად გვამუშავებდა, მართლა სერიოზულად, მაღალ დონეზე. იმის ენთუზიაზმი ჩვენზეც გადმოდიოდა. თუმცა კი, დიდი რიდი გვქონდა. თითქმის გვეშინოდა. თავისებური ადამიანი იყო, გაუჩერებლად ეწეოდა, თანაც მხოლოდ „პრიმას“ გრძელი შავი მუნდშტუკით.

— მას მერე ველარ უყურებთ სიგარეტს გულგრილად?

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## კონსერვატორიაში კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

9 თებერვალს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, დირიჟორი და სოლისტი ვალენტინ ჟუკი (ჰოლანდია).

კამერული მუსიკის კონცერტის პროგრამაშია ბახის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის, მოცარტის „დივერტისმენტი“, ბრიტენის „უბრალო სიმფონია“, ვივალდის „კონცერტი ოთხი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის“, ბახის „კონცერტი სამი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის“, გრიგის „ჰოლბერგ სუიტა“.

კამერული მუსიკის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 20 ლარამდეა.

## განცხადებები


● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი


მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



ნათელმხილველი
მანანა
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, აღგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.
მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.
ტელ: 897-29-27-50.

# კენი დალგლიში: „მე მხოლოდ წითელ მაისურებში გამოწყობილი ფეხბურთელები მაინტერესებს“

**გასულ უიკენდზე მთელი საფეხბურთო ყურადღება ლონდონისკენ იყო მიმართული, სადაც „ჩელსი“ „ლივერპულს“ მასპინძლობდა. ეს მატჩი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ლონდონელთა შემადგენლობაში ყოფილ ლივერპულელს, ფერნანდო ტორესს უნდა ეთამაშა, რომელიც მერსისაიდელებს გოლის გატანას ჰპირდებოდა.**

**თუმცა, „ლივერპულში“ კენი დალგლიშის მისვლის შემდეგ მერსისაიდელებმა სიტუაცია გამოასწორეს, ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს და გულშემატკივარს ძველი ოპტიმიზმი დაუბრუნეს.**

**თუ რას ფიქრობს გუნდის პოტენციალზე მთავარი მწვრთნელი „ჩელსისთან“ მოგებული (1:0) მატჩის შემდეგ, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**



*— რა შეფასებას გაუკეთებდით „სტემფორდ ბრიჯზე“ მოგებულ მატჩს?*

— საქმეს პროფესიულად მივუდექით, ფეხბურთელებმა გამარჯვებისკენ ფანტასტიკური სწრაფვა გამოავლინეს. „ჩელსისთან“ სათამაშოდ მოედანზე ყველა მოტივირებული გავიდა. „ლივერპულის“ დღევანდელ თაობას კარგად აქვს გათავისებული კლუბის ფილოსოფია — ლეგენდარულ გუნდს ის ფეხბურთელები წარმოადგენენ, ვინც კონკრეტულ მატჩში მოედანზეა გასული. „ლივერპულში“ თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს და ამიტომაც არის, რომ ათწლეულობის მანძილზე ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. რაც შეეხება „ჩელსისთან“ მატჩს, მთავარი ის არის, რომ ზედიზედ მე-4 მატჩი მოვიგეთ, თანაც ამჯერად გოლი არ გაგვიშვია. ეს ფაქტი ყველას გვახარებს - მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, კლუბის ხელმძღვანელებს და რაც ყველაზე მთავარია, გულშემატკივარს.

*— სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს განხორციელებული ტრანსფერები „ლივერპულისთვის“ დამატებითი მოტივაცია იყო?*

— შეგეძლოთ პირდაპირ გეთქვათ, რომ „ლივერპულიდან“ ფერნანდო ტორესის „ჩელსიში“ გადასვლა ჩვენთვის გამაღიზიანებელი ხომ არ იყო. დაუფარავად გეტყვით, რომ ლონდონში 3 ქულის ასაღებად არანაირი შურისძიების გრძნობით არ ჩამოვსულვართ. თუ ვინმეს თავისი საფეხბურთო კარიერის შეცვლა სურს, ეს მისი საქმეა და ჩვენ ამაში ხელს არ შევუშლით. მეტოქე გუნდის ფეხბურთელები სრულიად არ მაინტერესებს — მე მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე ვფიქრობ, რომლებიც „ლივერპულის“ წითელი მაისურით გადის მოედანზე. რაც შეეხება სატრანსფერო თემას, გეტყვით, რომ ლუის სუარესისა და ენდი კეროლის გადმოყვანით, კმაყოფილები ვართ. ერთია, ორივე მათგანს გუნდის ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად მაქსიმუმის გამოვლენა მოუწევთ. თუნდაც, „ჩელსისთან“ ჩატარებულმა მატჩმა დაასტურა, რომ ორივე მათგანის შემადგენლობიდან რომელიმე ფეხბურთელის ამოგდება გაუჭირდება. ბოლო 2 კვირის მანძილზე შესანიშნავად ვითამაშეთ და მოუთმენლად ველით სეზონის დასკვნით ნაწილს.

*— თქვენი ხელმძღვანელობით, „ლივერპული“ არატრადიციულად, 3 ცენტრალური მცველით თამაშობს.*

— სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს სქემა „ლივერპულისთვის“ არატრადიციულია. ყოველი მატჩისთვის ვარჩევთ იმ ტაქტიკას, რომელიც კონკრეტული მეტოქის წინააღმდეგ წარმატებას მოგვიტანს. ვფიქრობ, ეს სქემა გუნდს კარგად მიესადაგა და ფეხბურთელებიც კმაყოფილი არიან. დიდ ტაქტიკოსად თავს სულაც არ მივიჩნევ და ბოლო გამარჯვებას უფრო მოთამაშეთა კლუბისა და საქმისადმი სერიოზულად დამოკიდებულისკენ სწრაფვაა.

*— თქვენ თქვით, რომ სუარესს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდება. ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ გადაიხადეთ ამხელა თანხა მის სათადარიგოთა სკამზე დასასმელად.*

— სუარესი ფანტასტიკური ფეხბურთელია და ეს მან „ლივერპულში“ თავისივე სადებიუტო მატჩში გოლის გატანით დაამტკიცა. სამომავლოდ მისი დიდი იმედი გვაქვს, მაგრამ მისთვის დროის გარკვეული ნაწილია საჭირო, რომ „ლივერპულს“ შეეჩვიოს. დარწმუნებული ვარ, „ენფილდზე“ ფეხს მალე მოიკიდებს.

*— თუ ელოდით ასეთ შედეგიან თამაშს რაულ მეირელეშისგან — მან ბოლო 5 მატჩში 4 გოლი გაიტანა.*

— რაული სადღეისოდ მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია, მისი ტექნიკური გამსჭვალულობა — განსაცვიფრებელი. ყველაფერთან ერთად ძალიან ბევრს მუშაობს სავარჯიშო პროცესისას. ლონდონელებთან მატჩში ის დირკ კუიტს შევუწყვილე, რამაც შედეგი მოიტანა.

*— გასული წლის 28 ნოემბრის შემდეგ პირველად ითამაშა ჯეიმი კარაგერმა, თუმცა მის თამაშს ეს პაუზა სულაც არ ეტყობოდა.*

— გასაკვირი უფრო ის არის, თუ როგორ მოახერხა მძლავრი ფიზიკური კონდიციების აღდგენა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის პატარა ბიჭი აღარ არის და ამდენი ხნის უთამაშებლობა უარყოფითად აისახება. თუმცა, მისი მოედანზე ყოფნა, დანარჩენებს დამატებით მოტივაციას სძენს და თამაშის დალაგებაც შეუძლია. კარაგერი ჩვენი გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილია.

*— „ლივერპულის“ სამომავლო პერსპექტივას როგორი თვალით უყურებთ?*

— გავიმეორებ იმას, რაც კლუბში მისვლისთანავე განვაცხადე პრესკონფერენციაზე — „ლივერპულში“ დასახმარებლად მიხმეს და ყველაფერს გავიღებ მისი შემდგომი განვითარებისთვის. კლუბის ხელმძღვანელობას მხოლოდ ერთხელ შევხვდი — ჩემი მწვრთნელად დანიშვნისას და პირდაპირ განვუცხადე: თუ „ლივერპულის“ განვითარებაში შეფერხებას გამოვიწვევ, „ენფილდს“ მომენტალურად დავტოვებ.

*— „ჩელსის“ დამარცხების შემდეგ მათთან სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზე ხომ არ ფიქრობთ?*

— ბანალური ფრაზაა, მაგრამ მაინც ვიტყვი — შაბათს „უიგანთან“ გვიწევს თამაში და ახლა მხოლოდ მომდევნო მატჩზე ვფიქრობ. ასე იქნება მომავალშიც. როდესაც „ლივერპულში“ მივედი, გუნდი მე-12 ადგილზე იყო, ახლა — მეექვსეზეა. როგორც ხედავთ, პროგრესი არის და რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.

# სტატისტიკა ქართველების არის, რას ველით დღეს?

**საქართველოს ნაკრები კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში სომხეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. თემურ ქეცბაიას განკარგულებაში უკვე ყველა ის ფეხბურთელია, რომელიც გამოძახებული ჰყავდა. ერთადერთი გამონაკლისი ვლადიმერ დვალიშვილია. როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ტრავმა მიიღო და გუნდს ვერ შეუერთდა.**



ყველაზე გვიან, გუშინ დილით გუნდს კაპიტანი კახა კალაძე და ლვოვის „კარპატის“ ნახევარმცველი სანდრო გურული შეუერთდნენ. ამ დუეტმა დანარჩენებთან ერთად მხოლოდ გუშინ ივარჯიშა.

ორივე ნაკრები სასტუმრო „პოსეიდონ ბიჩში“ არის დაბინავებული და მეზობლად ცხოვრობენ.

სომხებთან მატჩი ჩვენი ნაკრების ისტორიაში რიგით 160-ე იქნება. აქედან სომხეთის ნაკრებთან უკვე 4-ჯერ გვაქვს ნათამაშები. სტატისტიკით, ჩვენების უპირატესობა გამოკვეთილია — 2 მოგება, ერთი ფრე და ერთი მარცხი. ბურთების შეფარდება 9:3 ქართველთა სასარგებლოდ.

ქართულ-სომხური სანაკრებო დაპირისპირების სათავე 1997 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც დავით ყიფიანის გაწვრთნილმა ნაკრებმა, ასევე ცნობილი სომეხი ფეხბურთელის, ხორენ ოგანესიანის შეგირდებს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე 7:0 მოუგეს. იმ მატჩში ჰეთ-ტრიკი შეასრულა შოთა არველაძემ, მისმა ტყუპისცალმა აჩიმ 2 ბურთი იკმარა, ხოლო თითოჯერ მეტოქე გიორგი ქინქლაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა დაამწუხრეს.

აღსანიშნავია, რომ იმ მატჩის მონაწილე თემურ ქეცბაია ახლა ნაკრების მწვრთნელია, ხოლო სომეხი მცველი სარგის ოვსეპიანი შესაძლოა დღესაც ვიხილოთ მოედანზე, რადგან ვარდან მინასიანს სანაკრებოდ ახლაც გამოძახებული ჰყავს.

ჰო, ეს მატჩი იყო ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული საქართველოს ნაკრების ისტორიაში, ხოლო სომხებმა იმავე ანგარიშით, იმავე წელს ჩილეს ნაკრებთან წააგეს.

ამ გუნდების მეორე სანაკრებო მატჩი კი სწორედ იმ „ციროინის“ სტადიონზე გაიმართა, სადაც დღეს შეხვდებიან ერთმანეთს. ეს მოხდა 2000 წელს და მაშინაც ქართველებმა იმარჯვეს — 2:1.

11 წლის წინანდელ დაპირისპირებაში ჩვენს ნაკრებს ყიფიანი-ძოძუაშვილის დუეტი წვრთნიდა, ხოლო გოლები ზაზა ჯანაშიამ და ზურაბ მენთეშაშვილმა გაიტანეს, სომეხთა მხრიდან კი ხაჩატრიანი გამოირჩა.

ბოლო 2 მატჩში კი უპირატესობა უკვე მეზობლების მხარეს არის. იმავე 2000 წელს მატჩი ერევანში, „რაზდანის“ სტადიონზე გაიმართა და მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ გაეყარნენ.

2004 წელს გუნდები ერთმანეთს ისევ კვიპროსზე გადაეყარნენ და სომხებმა არტემ და არმან კარამიანის გოლებით 2:0 იმარჯვეს.

**ტექნიკური შედეგები:**

**საქართველო — სომხეთი 7:0**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი. 30.000 მაყურებელი**

1:0 შ.არველაძე (12), 2:0 ქინქლაძე (45პ), 3:0 შ.არველაძე (53), 4:0, 5:0 ა.არველაძე (58, 60), 6:0 შ.არველაძე (67), 7:0 ყაველაშვილი (81)

**საქართველო:** ზოიძე (ტოგონიძე 55), ნ.ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია (შეყილაძე 61), ჩიხრაძე (გოგიჩაიშვილი 46), კობიაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული (ყაველაშვილი 46), ქეცბაია (ა.არველაძე 57), ქინქლაძე (გახოკიძე 61), შ.არველაძე (ა.მუჯირი 68)

**სომხეთი:** ავაქიანი, სუკიასიანი, ვ.ხაჩატრიანი (სპეაინი 65), ოვსეპიანი, ტერ-ზაქარიანი (ტუნოიანი 46), ვარდანიანი (მანუკიანი 57), პეტროასიანი (რ.ხაჩატრიანი 61), ტერ-პეტროსიანი (ესაიანი 57), მხითარიანი, ასადუარიანი, ა.ავეტისიანი

**საქართველო — სომხეთი 2:1**

**ლიმასოლი. ციროინის სტადიონი. 300 მაყურებელი**

1:0 ზ.ჯანაშია (7), 1:1 ხაჩატრიანი (44), 2:1 მენთეშაშვილი (55)

**საქართველო:** გრიშიკაშვილი, სილაგაძე, ქემოკლიძე, ჩიხრაძე, მენთეშაშვილი, თ.შიწინავა (შეყილაძე 22), ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ა.არველაძე, ზჯანაშია (მ.ძოძუაშვილი 46)

**სომხეთი:** აბრამიანი (ბერეზოვსკი 46), კაზანჯიანი (ა.აკოფიანი 79), ხაჩატრიანი, ოვსეპიანი, ასატრიანი, დოჰოიანი, პეტროსიანი, ნაზარიანი, არ.აკოფიანი (არუთინიანი 87), არტ. ქარამიანი, საქისიანი (არმ.ქარამიანი 43)

**სომხეთი — საქართველო 0:0**

**ერევანი. რაზდანის სტადიონი. 22.000 მაყურებელი**

**სომხეთი:** აბრამიანი, ვარდანიანი, ოვსეპიანი, ხაჩატრიანი, სუკიასიანი, ხოჯოიანი, ვოსკანიანი, პეტროსიანი (ასატრიანი 79), პეტროსიანცი (არტ.ქარამიანი 56), შახგელდიანი, არ.აკოფიანი (არმ.ქარამიანი 68)

**საქართველო:** გრიშიკაშვილი, მიქაძე (რეხვიაშვილი 34), სილაგაძე, ს.თოდუა, ნემსაძე, ხიზანიშვილი (დიდავა 72), თ.სიჭინავა, ალექსიძე (მენთეშაშვილი 55), ჩალაძე (იონანიძე 46), დემეტრაძე, ყაველაშვილი

**საქართველო — სომხეთი 0:2**

**ნიქოზია. მაკარიონის სტადიონი. 500 მაყურებელი**

0:1 არტ.ქარამიანი (41), 0:2 არმ.ქარამიანი (52)

**საქართველო“:** მამალაძე, ქემოკლიძე (კანდელაკი 60), შაშიაშვილი, წერეთელი, კვირკველია, ვ.დარასელია, ნემსაძე, ლ.კორღალიძე, გაბიდაური, ქინქლაძე, ს.იაშვილი (ლ.მელქაძე 60)

**სომხეთი:** ბეტე, ოვსეპიანი, ხაჩატრიანი (ნდუმბუკი 79), პაჩაიანი (ვ.ალექსანიანი 87), მელიქიანი (მანუჩარიანი 88), ზეიჩუ, ნაზარიანი (კ.ალექსანიანი 89), მკრტიჩიანი, ვოსკანიანი, არტ.ქარამიანი (კირაკოსიანი 87), არმ.ქარამიანი (აკობიანი 73)

# რიჩი დიქსონი ესპანეთს ცვლილებებით დაუხვდება

შაბათს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მორიგ მატჩს გამართავს ერთა თასის გათამაშებაში. ამჯერად ჩვენი მეტოქე ესპანეთის ეროვნული გუნდი იქნება.

უკრაინელებთან მატჩისგან განსხვავებით, რიჩი დიქსონის გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა: უკრაინელებთან მატჩში ტრავმა მიიღო ბესიკ უდესიანმა. როგორც რაგბის კავშირიდან შეგვატყობინეს, სპორტსმენს ხელი აქვს მოტეხილი და სავარაუდოდ, ოპერაცია გაუკეთდება. ნაკრებთან ერთად აღარ არიან დავით ზირაქაშვილი და დავით ხინჩაგაშვილი. სავარუდოდ, მათი დასვენება მწვრთნელის ინიციატივაა.

სამაგიეროდ, დიქსონმა გაფართოებულ შემადგენლობაში უხმო ილია ზედგინიძესა და ბექა შეყლაშვილს.

ესპანეთთან გამოძახებული მორაგბეების სრული სია ასეთია:

ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი, საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა, რუმინეთი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), ვასილ კაკოვინი (ბრივი, საფრანგეთი), ბექა შეყლაშვილი (აჯენი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), ვასილ მაისურაძე, 9სენ ნაზერი, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), გრიგოლ ლაბაძე 9მარსელი ვიტროლი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი), ლაშა თავართქილაძე (ფარული, რუმინეთი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), ბიძინა სამხარაძე 9სტიაუა, რუმინეთი), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), ლექსო გუგავა (ლელო), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (შამბერი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე )პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი, საფრანგეთი), ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი).

ესპანეთის ნაკრებთან მატჩში სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდება ირაკლი აბუსერიძე, რომელიც წინა მატჩში დავით ზირაქაშვილისთვის გადაცემულ კაპიტნის სამკლავურს დაიბრუნებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**ფეხბურთი**

**აფრიკა. კონტინენტის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ანგოლა-ტუნისი | 1:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ლივორნო-ვიჩენცა | 0:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სელტა-ნუმანსია | 4:0 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მიუნხენ 1860-ფორტუნა | 1:1 |

**საფრანგეთი. II ლიგა**

| | |
|---|---|
| ტური-ევიანი | 1:0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტელსტარი-ვალვაიკი | 0:1 |
| ალმერე-მაასტრიხტი | 2:4 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| დალასი-კლივლენდი | 99:96 |
| დენვერი-ჰიუსტონი | 103:108 |
| პორტლენდი-ჩიკაგო | 109:103 |
| საკრამენტო-იუტა | 104:017 |
| გოლდენ სტეიტი-ფინიქსი | 92:104 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. როტერდამი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-ზვერევი | 6:2;6:4 |
| დავიდენკო-ლოდრა | 3:6;6:7 |
| ტურსუნოვი-გოლუბევი | 6:4;7:5 |
| ტროისცკი-შუტლერი | 6:2;7:6 |
| მელცერი-გალუნგი | 6:4;6;4 |
| კოლშრაიბერი-ლუ | 6:4;7:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ატლანტა | 5:4 |
| დეტროიტი-რეინჯერსი | 3:2 |
| ნეშვილი-ედმონტონი | 0:4 |
| კალგარი-ჩიკაგო | 3:1 |
| ფინიქსი-კოლორადო | 3:0 |
| ვანკუვერი-ოტავა | 4:2 |

# თუმანიშვილის მოსწავლეები თუმანიშვილის თეატრში იკრიბებიან

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პროექტ „თუმანიშვილის მოსწავლეები — თუმანიშვილის თეატრში“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც დაესწრო. წარდგინებაზე სიტყვით გამოვიდნენ თუმანიშვილის თეატრის მმართველი ზურაბ გეწაძე, რეჟისორები ლევან წულაძე, დავით დოიაშვილი და დავით საყვარელიძე.

პროექტის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, რომ მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეებში გაჩნდა მეტად მნიშვნელოვანი და ორიგინალური იდეა — ქართველი რეჟისორის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით განხორციელდეს პროექტი „თუმანიშვილის მოსწავლეები — თუმანიშვილის თეატრში“. პროექტის მიზანია, თუმანიშვილის აღზრდილმა სხვადასხვა თაობისა და ხელწერის მქონე ისეთმა რეჟისორებმა, როგორებიც არიან რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ლევან წულაძე, დათო დოიაშვილი, დავით საყვარელიძე თუმანიშვილის მიერ დაარსებულ კინომსახიობთა თეატრში დადგან თითო სპექტაკლი. 2012 წლის 6 თებერვალს კი მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღეზე გაიხსნას კვირეული, სადაც ყოველდღე წარმოდგენილი იქნება პროექტში მონაწილე რეჟისორების მიერ დადგმული სპექტაკლები. პროექტი „თუმანიშვილის მოსწავლეები — თუმანიშვილის თეატრში“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.

— პროექტი თავისი მნიშვნელობით უნიკალურია, რადგან მსგავსი იდეა თეატრალურ სივრცეში არასოდეს განხორციელებულა. გარდა ამისა, ქართულ თეატრალურ საზოგადოებასა და მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრს დარჩება ხუთი ახალი სპექტაკლი, რომელიც სხვადასხვა თაობისა და თეატრალური ესთეტიკის მქონე რეჟისორებს თანამედროვე მაყურებელთან დააახლოებს, — განაცხადა კინომსახიობთა თეატრის მმართველმა ზურაბ გეწაძემ.

მიხეილ თუმანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით, თუმანიშვილის თეატრის ინიციატივაა 2011 წელი გამოცხადდეს მიხეილ თუმანიშვილის წლად. ამასთან დაკავშირებით კი შედგეს რიგი პროექტებისა, რომელთა განხორციელებაც დაიწყო 4 თებერვლიდან. მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული წიგნების პრეზენტაცია, მიხეილ თუმანიშვილის ნახატების გამოფენა, მის მიერ დადგმული სპექტაკლების მაკეტებისა და კოსტუმების გამოფენა, იუბილარი რეჟისორის შესახებ გადაღებული ფილმის „გამჭოლი მოქმედება“ (რეჟისორი გიორგი ლევაშოვი) ჩვენება და მასტერ‑კლასის ჩატარება სტუდენტებისათვის, ფოტო გამოფენის მოწყობა, მიხეილ თუმანიშვილის წიგნების „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „რეჟისორი თეტარიდან წავიდა“ და „ახლა კი ფარდა“ ხელმეორედ გამოცემა‑პრეზენტაცია. წიგნები საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ „კენტავრი“ ხელახლა გამოსცა. კინომსახიობთა თეატრში გამართულ პრეზენტაციაზე ნებისმიერ მსურველს წიგნების შეძენაც შეეძლო.

— ქართული თეატრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნება ისეთი დიდებული ადამიანის იუბილე, როგორიც ბატონი მიხეილ თუმანიშვილი იყო. ეს წიგნები ნამდვილი განძია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მოღვაწეობს თეატრალურ ხელოვნებაში. განსაკუთრებით ძვირფასია პირველი წიგნი „სანამ რეპეტიცია დაიწყება“. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი, რაც კი ოდესმე შექმნილა თეატრალურ პედაგოგიკაში, — განაცხადა წიგნის პრეზენტაციაზე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა.

მიხეილ თუმანიშვილის სამი წიგნის წარდგინების შემდეგ კი საიუბილეო კვირეულის ფარგლებში აღდგენილი სპექტაკლის „ჩვენი პატარა ქალაქი“ პრემიერა გაიმართა, რომელიც რეჟისორმა 1981 წელს დადგა.

მიხეილ თუმანიშვილსა და მის მოწაფეებს ეკუთვნით 70-ზე მეტი დაუვიწყარი სპექტაკლი, რომლებმაც აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ. მიხეილ თუმანიშვილის „დონ ჟუანი“ ედინბურგის ფესტივალის სპექტაკლების საუკეთესო ათეულშია შესული, ეს ის ლეგენდარული სპექტაკლია, რომლის შესახებაც პიტერ ბრუკმა თქვა „თუ გსურთ იხილოთ ნამდვილი მოლიერი, წადით საქართველოში და თუმანიშვილისეული წარმოდგენა ნახეთ“. ლონდონში გამართულ შექსპირის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე თუმანიშვილის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.

მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის იუბილეს ფარგლებში ვერაზე მდებარე ანანურის ქუჩას მიხეილ თუმანიშვილის სახელი ეწოდა. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი რეჟისორის საიუბილეო კვირეულს მასპინძლობს, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია არაერთი საინტერესო კულტურული ღონისძიება.

მიხეილ თუმანიშვილის იუბილე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრშიც აღნიშნეს. „ვსაუბრობთ თუმანიშვილზე“ — ასე ეწოდებოდა შეხვედრას, სადაც მიხეილ თუმანიშვილის 22 წლიანი მოღვაწეობა გაიხსენეს. საღამოს რეჟისორის მოსწავლეები და ახლობლები ესწრებოდნენ. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში თეატრმცოდნე ნათელა არველაძის წიგნის „მარად ბერიკას“ პრეზენტაციაც მოეწყო.



**ზურაბ გეწაძე, კინომსახიობთა თეატრის მმართველი:**

— ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩემი მმართველობის პერიოდში აღვნიშნავთ ასეთი გენიალური ადამიანის 90 წლის იუბილეს. მე ნამდვილად გამიმართლა. როცა თეატრალურში ვაბარებდი, სწორედ იმ წელს იყვანდა ბატონი მიშა ჯგუფს და მოვხვდი მის ჯგუფში. ეს იყო დაუვიწყარი წლები ჩემს ცხოვრებაში. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, ბატონმა მიშამ მომიყვანა ამ თეატრში და დღემდე აქ ვარ. მიხეილ თუმანიშვილის ნებისმიერ მოწაფეს და შეგირდს რომ ჰკითხოთ, ყველა დაუფიქრებლად გეტყვით, რომ თუკი დღეს საერთოდ რამეს წარმოვადგენთ და ქართული თეატრის ისტორიაში მცირედი წვლილი შეგვაქვს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ბატონი მიშას დამსახურებაა.

— *კიდევ რა იგეგმება საიუბილეო კვირეულის ფარგლებში?*

— კვირეული მთლიანად ბატონ მიშას დაეთმობა, თუმცა კინომსახიობთა თეატრი გამოვიდა ინიციატივით 2011 წელი მიხეილ თუმანიშვილის წლად გამოცხადდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში მის ხსოვნას კიდევ არაერთი კულტურული ღონისძიება მიეძღვნება.

**დავით დოიაშვილი, რეჟისორი:**

— იდეა ნამდვილად უნიკალური და ორიგინალურია. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ამ პროექტში მონაწილეობა. ეს მოწვევა ზურაბ გეწაძეს ეკუთვნის. ნამდვილად სასიხარულოა, რომ თუმანიშვილის მოწაფეებს გვაძლევენ შანსს, დავდგათ ჩვენი ხედვით სპექტაკლები მის მიერ დაარსებულ თეატრში, რომლებიც შემდეგ ამ თეატრის რეპერტუარში დარჩება.



# გიორგი ზანგურმა კრებულის პრეზენტაცია მოაწყო

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა მსახიობმა და პოეტმა გიორგი ზანგურმა „წიგნის სახლში“ კრებულის „ჩემს თანადედამიწელებს“ პრეზენტაცია გამართა. კრებული გამომცემლობა „შემეცნებაში“ დაიბეჭდა. წიგნის წარდგინებასთან ერთად „წიგნის სახლში“ პოეზიის საღამოც მოეწყო.

გიორგი ზანგური თბილისში დაიბადა. მან 141-ე სკოლა დაამთავრა. სწავლა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტზე გააგრძელა. უნივერსიტეტშივე ითამაშა ვილიამ სომერსეტ მოემის პიესაში „აღთქმული მიწა“ ფრენკ ტეილორის როლი. ასევე ჟან პოლ სარტრის პიესაში „ბუზები“ იუპიტერი როლი. 2004 წელს სამეფო უბნის თეატრში შიო არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში „გიულიჰ“ მიტროს როლზე დააკავეს.

უკვე ხუთი წელია მსახიობი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მუშაობს. თეატრში მისვლისთანავე მისი პირველი სპექტაკლი ქეთი პატარაიას პიესის მიხედვით დადგმული „ხვალ შობაა“ აღმოჩნდა, სადაც გიორგი ზანგურმა ლეო ტაბიძის როლი შეასრულა.

მისი ლექსების პირველი კრებული ხუთი წლის წინ გამოვიდა. ცვლილებების თეატრში კი მსახიობის პიესის მიხედვით სპექტაკლი „დონორები“ განხორციელდა. გიორგი ზანგური ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ მიიწვია და დადგა ნინო სადღობელაშვილის პიესა „ბამბაზიის სამოთხე“. ამ სპექტაკლში რეჟისორმა მსახიობს ბათუ არჩბას როლი შესთავაზა. მოგვიანებით ამ სპექტაკლზე რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა იგივე სახელწოდების ფილმიც კი გადაიღო.

მსახიობმა გამოსცა პოეტთა ორდენ სამკაულის კრებული და სიდი „ამიშვი ცამდე“. ამჯერად კი მსახიობი თავის ერთგულ მკითხველს წიგნის სახლში შეხვდა და როგორც ძველი, ასევე კრებულში შესული ახალი ლექსებიც წაუკითხა. ლექსების წაკითხვის პარალელურად, ახალგაზრდა მსახიობმა და პოეტმა ყველა შეძენილ წიგნზე საკუთარი ავტოგრაფი დატოვა. განახლებულ კრებულში „ჩემს თანადედამიწელებს“ პოეტის 100-მდე ლექსია შესული, რომლებიც გიორგი ზანგურის მიერ სხვადასხვა პერიოდშია დაწერილი.

გიორგი ზანგური, მსახიობი, პოეტი:

— ძალიან მიხარია, რომ ჩემს ლექსებს მკითხველი ჰყავს. კრებული განახლებული კია, მაგრამ მასში ძირითადად ძველი ლექსებია შეტანილი. „წიგნის სახლი“ ყოველთვის საინტერესო საღამოებს აწყობს ხოლმე. ჩემთვის დიდი პატივია ის ფაქტი, რომ ამ ღონისძიებათა ჩამონათვალში ჩემი კრებულის პრეზენტაცია და ჩემი ლექსების მიხედვით პოეზიის საღამო რომ შედგა. იმედი მაქვს, ჩემს კრებულს მკითხველი შეიძენს და ჩემს შემოქმედებასაც კიდევ უფრო ახლოს გაეცნობა.

# ავთო ვარსიმაშვილი ახალ ფილმზე მუშაობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მუნა ნიკოლაძე (თამარი, მშვენიერი ქართველი ქალი), გოგა ბარბაქაძე (დადიანი), კახა მიქიაშვილი (აბკარი), აპოლონ კუბლაშვილი (ვახტანგი), ჯაბა კილაძე (გურიელი), ქეთა ლორთქიფანიძე (ფოთოლა), მარიამ ჯოლოგუა (ოთიანა), მამუკა მუმლაძე (მაკური) და სლავა ნათენაძე (გოლდონი). 3 მარტს თავისუფალი თეატრი ქუთაისში გასტროლზე მიემგზავრება. „მშვენიერი ქართველი ქალი“ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გათამაშდება.

31 მარტს კი „თავისუფალი თეატრი“ ათი წლის იუბილეს იზეიმებს. როგორც თეატრის დამაარსებელი ავთო ვარსიმაშვილი აცხადებს:

— არც კი მჯერა. რა უცებ გაირბინა ამ ათმა წელმა, არადა რამდენი სიხარული და ტკივილი მოგვიტანა ამ ათმა წელმა. მთავარი სიხარული მაინც ის იყო, რომ ჩვენი მაყურებელი გავიჩინეთ, რომელიც ათი წელია ჩვენს გვერდით დგას დიდი სიყვარულით, მთავარი ტკივილი კი ნიკოს წასვლაა იმ ქვეყნად. „თავისუფალი“ მთელი ამ ათი წლის მანძილზე მართლა თავისუფალი იყო და ასე ღირსეულად განაგრძობს თავის ცხოვრებას და ჩვენი თეატრი ოც წელსაც იზეიმებს და ას წელსაც.

— *თქვენი ახალი ფილმი ეკრანებზე როდის გამოვა?*

— ფილმის გადაღებები უკვე დავასრულეთ. ახლა მონტაჟი მიმდინარეობს. ფილმი სავარაუდოდ მარტის ბოლოსთვის იქნება მზად.

— *კიდევ გეგმავთ ფილმების გადაღებას.*

— დიახ. ვფიქრობ ახალ ფილმზეც, რომელზეც მუშაობას ალბათ მაისში დავიწყებ.

— „ჯინსების თაობის“ გადაღების საკითხი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ არის?

— დიახ. ამ ფილმთან დაკავშირებით ამ დრომდე დაზუსტებული გადაწყვეტილება არ არსებობს. „ჯინსების თაობა“ ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

# ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საუკეთესო პროექტი ცნობილია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და, ასევე, სტალინური საბჭოთა რეპრესიების შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ესკიზური პროექტი“ დასრულდა.

კომისიის მუშაობის შედეგად, ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი დევიზით „ამაოებას არ ამოება“. პროექტის ავტორია „ტამარასტუდიო“ თამარ კვესიტაძისა და პაატა სანაიას შემადგენლობით.

კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის მისმა ორგანიზატორებმა დააწესეს ერთჯერადი ფულადი პრემია 10.000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. საკონკურსო პროექტები საჯაროდ იყო გამოფენილი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში 2011 წლის 21 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 42 პროექტი. კონკურსი მიზანად ისახავს 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომში და, ასევე, სტალინური საბჭოთა რეპრესიების შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის საუკეთესო პროექტის შერჩევას და შემდგომ მის ხორცშესხმას ქალაქ გორის ცენტრალურ მოედანზე, იქ, სადაც საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის ძეგლი იყო აღმართული. მემორიალი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შედეგად დაღუპული ადამიანების, მათ შორის ჰოლანდიელი ჟურნალისტის, სტენ სტორიმანის ხსოვნას მიეძღვნება, რომელიც 2008 წელს, რუსული ავიაციის შეტევის დროს, სწორედ ამ ადგილას დაიღუპა.

ღია კონკურსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტმა 2010 წლის 16 ნოემბერს გამოაცხადა. პირველადი კონკურსის შედეგად საუკეთესო პროექტი ვერ გამოვლინდა, ამიტომ საუკეთესოს შერჩევის ვადა ორი თვით გახანგრძლივდა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მოკლე, იუმორისტული საესტრადო, საცირკო პიესა; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 5. უბანი თბილისში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 16. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის შაშხი; 17. გემთმშენებელი საწარმო; 18. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 20. მგალობელი ჩიტი; 22. მცირე ალკოჰოლური გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 6. ძალზე მტკიცე მინერალი; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. დაჩეჩილი მატყლი, წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდოელთა ტომი სამხრეთ ამერიკაში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 14. ტბა ჯავახეთში; 19. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს დაზვერვის ცენტრი; 23. ხარებშებმული ორთვლიანი საზიდარა; 24. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. ხურჯინი; 5. ბაბაჭუა; 10. სალივანი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბურდუხანი; 16. მაიამი; 17. სამსალა; 20. ღაწვი.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. თუშმალი; 8. ექოლოტი; 9. ლავაში; 13. კანა; 14. საცივი; 18. უზუფრუქტი; 19. კანტი; 21. ყანწი; 22. ვინიცა; 23. მანდარინი; 24. გრინფისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სფინქსი; 2. ჟინვალი; 3. ონაგრი; 4. იმოლა; 5. მურყვამი; 7. ძმა; 11. ტიტანი; 15. სარბაზი; 16. ჩუვაჩი; 17. ტევრი; 18. კლონი; 20. ხავსი; 22. ფიჯი.

**თარაზულად:** 6. ფერაძე; 8. დიუპონი; 9. ბროკერი; 10. ნიტრატი; 12. მარსი; 13. აზოვი; 14. მარტვილი; 19. კარწახი; 21. პეტეფი; 23. ლიტვა; 24. ბრინჯი; 25. აზბესტი; 26. ვირჯინია.

# ისლამური ტელევიზიის დამფუძნებელი ცოლის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს



აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ისლამური ტელევიზიის „ბრიჯ თივის" დამაარსებელი, წარმოშობით პაკისტანელი მუზამანი ჰასანი ცოლის, აასიია ჰასანის მკვლელობაში დამნაშავედ ცნო.

ბრალდებების თანახმად, ჰასანმა თავისი ცოლი 2009 წელს განქორწინების სარჩელის წარდგენიდან ექვსი დღის შემდეგ მოკლა.

განსასჯელი თავდაპირველად ცოლის მკვლელობის ბრალდებებს არ უარყოფდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ ცოლი რეგულარულად სცემდა მას და მკვლელობა თავდაცვის შედეგად მოხდა.

იგი 2009 წელს დააპატიმრეს. ჰასანი თავად გამოცხადდა პოლიციაში და განაცხადა, რომ მისი ცოლი მკვდარი იყო.

პროცესი სამ კვირას გრძელდებოდა. ჰასანი თავად იცავდა საკუთარ თავს და ადვოკატების მომსახურებაზე უარი განაცხადა. მას სამუდამო პატიმრობა ელის.

გამოძიების მასალების თანახმად, განსასჯელი თავად სცემდა ცოლს, მკვლელობა კი წინასწარ დაგეგმა.

დანაშაული მან ტელეკომპანია „ბრიჯს თივის" ტერიტორიაზე ჩაიდინა. ეს ტელევიზია მან 2004 წელს ცოლთან ერთად დააარსა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომი მოვლენების შემდეგ მუსლიმანთა უარყოფითი იმიჯის გამოსწორების მიზნით.

როგორც სასამართლომ გამოარკვია, ჰასანმა დანაშაულის ჩადენის მიზნით ორი სანადირო დანა შეიძინა, ავტომობილი ტელესტუდიის მახლობლად, მოფარებულ ადგილას დააყენა და თავად შენობასთან ჩასაფრდა.

ტელესტუდიის შენობიდან ცოლის გამოსვლის შემდეგ იგი ქალს თავს დაესხა, დანით 40-ზე მეტი ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი თავი მოჰკვეთა.

მკვლელობა ნაწილობრივ გარე დკვირვების ვიდეოკამერებმა დააფიქსირა.

განქორწინების საქმეში აასიია ჰასანის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა განაცხადა, რომ მკვლელობამდე ექვსი დღით ადრე ქალმა განქორწინების სარჩელი წარადგინა, სადაც განქორწინების მიზეზად ოჯახურ ძალადობას ასახელებდა.

დამამტკიცებელი საბუთების სახით ქალმა სასამართლოს წარუდგინა ამონაწერები პოლიციის ჟურნალებიდან, სამედიცინო შემოწმებების ოქმები — ტელემაგნატის ცოლმა ცემის შემდეგ რამდენჯერმე ექიმებს მიმართა. ჰასანები რვა წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად. მათ ორი ბავშვი ჰყავდათ, რომლებიც მკვლელობის მომენტში ცოლის მანქანაში იმყოფებოდნენ.

# ასანჯს შვედეთში სამართლიანი სასამართლო არ ელის



ინტერნეტ-საიტ „ვიქილიქსის" დამფუძნებლის ჯულიან ასანჯის ადვოკატებმა ლონდონის მაგისტრატურის სასამართლოში განაცხადეს, რომ ასანჯის შვედეთისათვის გადაცემის შემთხვევაში მის საქმეს სამართლიანად არ განიხილავენ.

გარდა ამისა, როგორც ასანჯის ადვოკატმა ჯეფრი რობერტსონმა განაცხადა, შვედეთმა ასანჯი აშშ-ს შეიძლება გადასცეს, სადაც მას „ვიქილიქსის" საქმიანობასთან დაკავშირებული ბრალდებებით სიკვდილი შეიძლება მიუსაჯონ.

ასანჯი დიდ ბრიტანეთში შვედეთის მიერ ევროპის მასშტაბით გაცემული ორდერის საფუძველზე გასული წლის დეკემბერში დააკავეს. მისი დაკავების საბაბად იქცა ორი შვედი ქალის განცხადება, რომლებმაც 39 წლის ავსტრალიელს სექსუალური ხასიათის ბრალდებები წაუყენეს.

ასანჯი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ შვედეთში დაწყებული გამოძიება პოლიტიკურად არის მოტივირებული.

სასამართლოში შვედეთის ხელისუფლების ინტერესების დამცველმა ადვოკატმა კლერ მონტგომერიმ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, ასანჯი პირადად იცნობდა მომჩივნებს, მათთან ურთიერთობისას ძალა იხმარა და აღნიშნა, რომ ამ საქმეს ბრიტანეთშიც ექნებოდა პერსპექტივა.

ასანჯის ადვოკატები, გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ შვედ პროკურორ მარიანა ნიუს უფლება არ ჰქონდა, ასანჯის დაკავების ორდერი ევროპის მასშტაბით გაეცა. ადვოკატები ასევე აღნიშნავენ, რომ შვედეთის მხარემ ბოროტად გამოიყენა სასამართლო პროცედურები, რადგან დღემდე ასანჯისათვის ოფიციალური ბრალდებების წაყენების სურვილი არ გამოუმჟღავნებია.

ადვოკატები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ასანჯის დაკითხვა შესაძლებელი იყო ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან ვიდეოკავშირის საშუალებით. ასე რომ, ექსტრადიციის აუცილებლობა არ არსებობს. ადვოკატების აზრით, ექსტრადიციის დოკუმენტებს ძალა არ გააჩნია, რადგან მათში ნათქვამი არ არის, რომ ასანჯი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის იძებნება.

ასანჯის ადვოკატებმა, გარდა ამისა, გადამდგარი შვედი მოსამართლის ბრიტა სუნდბერგ-ვაიტმანის სიტყვებიც მოიშველიეს, რომელმაც ასანჯის საქმესთან დაკავშირებით შვედი ხელისუფლების ქმედება მკაცრად გააკრიტიკა.

მისი აზრით, ეს საქმე თავიდანვე მეტად უჩვეულო იყო, მას შემდეგ, რაც შვედეთის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ასანჯი გაუპატიურების საქმის ფიგურანტი გახდა.

სუნდბერგ-ვაიტმანის თქმით, პროკურორი მარიანა ნიუ არაობიექტურია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნიუ დარწმუნებულია, ნებისმიერი ეჭვმიტანილი უკვე დამნაშავეა.

# რუსების მესამედს მზე დედამიწის თანამგზავრი ჰგონია



რუსეთის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრის სოციოლოგებმა მეცნიერების დღეს, რომელსაც რუსეთში 8 თებერვალს აღნიშნავენ, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნეს.

როგორც გაირკვა, რუსეთის მოქალაქეების ერთი ნაწილი საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვე მეცნიერებას და ამ ჩამორჩენამ რამდენიმე საუკუნეს მიაღწია.

ასე მაგალითად, რუსეთის მოქალაქეების მესამედი დარწმუნებულია, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს და თანაც, ასეთი ადამიანების რიცხვი მატულობს. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ამ მოსაზრებას რესპონდენტების 28% იზიარებდა, ამჟამად მათი რიცხვი 32%-ს აღწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ გამოკითხულთა 14%-ს, ვინც იცის, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, რატომღაც ჰგონია, რომ დედამიწა მზის გარშემო ერთ სრულ ბრუნს ერთ თვეში ასრულებს. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმეტესობას, 55%-ს მიაჩნია, რომ რადიოაქტიურობა ადამიანებმა გამოიგონეს, ხოლო ანტიბიოტიკები თანაბრად ხოცავენ როგორც ბაქტერიებს, ასევე ვირუსებს (46%).

გარდა ამისა, ყოველ მესამე ადამიანს მიაჩნია, რომ ადამიანები დინოზავრების მეზობლად ერთსა და იმავე ეპოქაში ცხოვრობდნენ. რუსეთის ყოველ მეექვსე მოქალაქეს ვერ დაუჯერებია, რომ თანამედროვე ადამიანი უფრო ადრეული სახეობებისგან განვითარდა. რუსეთის მოქალაქეების მეოთხედს მიაჩნია, რომ ლაზერი ბგერითი ტალღების ფოკუსირებას ახდენს, ხოლო 18% მიაჩნია, რომ ატომი ელექტრონზე პატარაა.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ „მეცნიერული ლაფსუსებისაკენ" მიდრეკილებას ქალები უფრო მეტად ამჟღავნებენ, ვიდრე მამაკაცები. ასე მაგალითად, ქალების 58% დარწმუნებულია, რომ რადიოაქტიურობა ადამიანის საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. მამაკაცებს შორის ასე ფიქრობს 51%. ანტიბიოტიკებს ვირუსების დახოცვის უნარს ქალების 48% მიაწერს, მამაკაცებისა — 43. დედამიწას სამყაროს ცენტრში ქალების 34% და მამაკაცების 29% ათავსებს.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გამოკითხვა 2011 წლის 29-30 იანვარს გაიმართა. გამოკითხვაში რუსეთის 46 ოლქის 138 დასახლებული პუნქტის 1600 მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სუდანის სამხრეთი დამოუკიდებლობის მომხრეა



ცნობილი გახდა სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით გამართული რეფერენდუმის შედეგები. ამ რეგიონის მოსახლეობის თითქმის 99%-მა დამოუკიდებლობასა და ჯერჯერობით აფრიკის უდიდესი სახელმწიფოსაგან გამოყოფას დაუჭირა მხარი.

სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის კომისიამ ჯერ კიდევ ერთიანი სუდანის დედაქალაქ ხართუმში გამოაცხადა, რომ სამხრეთის მოსახლეობის 98.83%-მა დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

კომისიის ხელმძღვანელ ოჰამედ იბრაჰიმ ჰალილის თქმით, სუდანის ერთიანობას მხარი 44888 ადამიანმა, ანუ მოსახლეობის 1.17%-მა დაუჭირა.

სუდანის პრეზიდენტმა ომარ ბაშირმა ორშაბათს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რეფერენდუმის ნებისმიერ შედეგს მიიღებდა.

რეფერენდუმი 2005 წლის შეთანხმების ფარგლებში გაიმართა. ამ შეთანხმებამ სამხრეთ და ჩრდილოეთ სუდანს შორის 20 წელზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო ომს მოუღო ბოლო.

კენჭისყრა ძირითადად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა ნავთობით მდიდარ სამხრეთ სუდანში ვითარება დაძაბული რჩება — გასული კვირის ბოლოს ზემო ნილოსის შტატში სროლის შედეგად არანაკლებ 50 ადამიანი დაიღუპა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ მხარეებს სამხრეთ სუდანის უმტკივნეულო გამოყოფის უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა. ობამამ განაცხადა, რომ აშშ მზად არის, ცნოს ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და მზადაა, ხართუმი ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების სიიდან ამოშალოს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ეს საკმაოდ რთული პროცედურა იქნება და სუდანს ტერორისტული სახელმწიფოების სიიდან მხოლოდ მას შემდეგ ამოშლიან, რაც იგი აშშ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა პირობას დააკმაყოფილებს — კერძოდ, 6 თვის განმავლობაში არ დაუჭერს მხარს საერთაშორისო ტერორიზმს და სამომავლო გარანტიებსაც უზრუნველყოფს.

# ოქსფორდის მეცნიერებმა გრიპის საწინააღმდეგო უნივერსალური ვაქცინა შექმნეს

ოქსფორდის მეცნიერებმა გრიპის საწინააღმდეგო უნივერსალური ვაქცინა შექმნეს. ამის შესახებ ბრიტანული „გარდიანი" წერს.

ვაქცინამ უკვე გაიარა კლინიკური გამოცდა და მეცნიერებმა მისი ეფექტურობა დაადასტურეს. მათი მტკიცებით, გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში პრობლემა ის არის, რომ ვირუსი მუდმივად იცვლის ფორმას, ამჯერად მათ ვირუსის ის ყველაზე სუსტი მხარეები იპოვეს, რომლებიც არასდროს იცვლება. „გარდიანი" წერს, რომ ვირუსის სახეობის მიუხედავად, ახალი ვაქცინა ჯანდაცვის სისტემებს შესაძლებლობას მისცემს ეპიდემია თავიდან აიცილონ.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



ქ.თბილისის №14 აფთიაქის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფთიაქის დირექტორის

**თენგიზ დუჩიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**მერაბ ბარქაიას გახსენება**

ორმოცი ცრემლიანი დღე გავიდა, ჩვენო საყვარელო, თბილო, ჰუმანურო ვაჟკაცო! ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა!

*მამიდაშვილები გოჩა, კუსუნა მზარელუები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

მეუღლე კახაბერ ჭკუასელი, შვილები გიული და თათია ჭკუასელები, მამამთილი ჯემალ ჭკუასელი, დედამთილი გიული ჭკუასელი, და-ძმები ნათელა, ომარ, ლამარა, აგლო, ხუტა და ოლეგ ფურელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუიზა ფურელიანი-ჭკუასელისა**

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 9 თებერვალს, 17 საათზე.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 10 თებერვალს, 15 საათზე, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრიდან (დიღმის მასივი, დიდუბე-დიღმის ხიდის გადასასვლელთან).

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 9 თებერვალი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **16.55** **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩი. სომხეთი- საქართველო **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00, 01.30** ისტორია **23.00** მხ. ფილმი "**ვერტიკალური ზღვარი**" (სუბტ.) **01.10** მოამბე

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**პატარა შავი წიგნი**" **01.00** მხ. ფილმი "**ნუშლოვანი ეჭვი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**გრძნობათა ტყვეობაში**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **16.00** სერ. "**სიყვარულის საიდუმლო**" **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ."**სად არის ელისა**" **22.00** მხ. ფილმი "**სამხრეთ ბრონქსის რაინდები**" (18) (ტ. დანსონი) **01.00** პატრული **01.20** მხ, ფილმი "**ქენდიმენი**"

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ."**ორნახევარი კაცი**" **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**ბოშები**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** კონცერტი: "ივერია" **00.15** მხ. ფ."**სახიფათო დავალება**" (კ. როკი) (სუბტ.) **02.35** მხ.ფ."**ლამაზი მერის ამბავი**"(12) (კ.დიასი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი "**ველური ორქიდეა 2**" (18) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სინდისის საკითხი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.30** სერ. "**ძმები კარამაზოვები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**ამანდა ო**" **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** საღვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი "**მთვარის მოტაცება**" მე-2ნ. **13.25** კონცერტი **15.05** მხ. ფილმი "**თემო**" **16.20** კვირიაკე **17.40** ერთი წვეთი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **22.40** საქართველოს ისტორია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **01.00** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 9 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7955

ევრო —2,437

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8936

რუსული რუბლი — 0,0611

**ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისთვის**




**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 8-11, ღამით — 1-2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-1§, ღამით — 2-§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9-§, ღამით — -14-9




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ასტროპროგნოზი 9 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ლომი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — მშვენიერი დღეა, გელით სიურპრიზი. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **მერწყული** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. რბილი, ფერადი სახატავი ფანქრები; 3. სირიის პრეზიდენტი; 4. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 5. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 15. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლებიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში.

**თარაზულად:** 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. წვრილად დაჭრილი, შემწვარი ხორცის ფრანგული კერძი; 9. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. ბრაზილიის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 14. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 18. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 19. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 21. გემების სადგომი ნავსადგურში; 22. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 23. ოსური ხაჭაპური; 24. კოსოვოს დედაქალაქი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## თამაზ ყურაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

ცნობილ ქართველ ჯაზმენს თამაზ (თათუზა) ყურაშვილს 19 თებერვალს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ის პირველი ჯაზმენია, ვისაც ვარსკვლავს გაუხსნიან. ქართველი კონტრაბასისტი თბილისში დაიბადა. სწავლობდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში სიმებიან განყოფილებაზე. იგი უკვე 44 წელია კონტრაბასზე უკრავს.

თამაზ ყურაშვილი საკავშირო კონკურსის ლაურეატი და პირველი პრიზის მფლობელი გახდა. მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და ბაქოს ჯაზ-ფესტივალებში და ლაურეატის წოდება მოიპოვა. თამაზ ყურაშვილი ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის და ჯაზ-ანსამბლის მუსიკოსი იყო. ჯაზ-ანსამბლთან ერთად მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და სტამბულში გამართულ ჯაზ-ფესტივალებში. ცნობილ აზერბაიჯანელ მუსიკოსთან ვაგიფ მუსტაფა ზადესთან ერთად 1979 წელს გამოსცა ალბომი „ჯაზური კომპოზიციები". ცნობილი ჯაზმენი მუშაობდა ნიუ-იორკში და აკომპანირებას უწევდა ისეთ მუსიკოსებს, როგორიცაა ბრენფორდ მარშალი, სტენლი ჯორდანი, ჯონ მედისონი და სხვა ცნობილი ხელოვანები.

თამაზ ყურაშვილი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს მუსიკალურ სივრცეში. იგი კინოფილმებისა და სპექტაკლებისთვის ქმნის მუსიკას. თბილისში, ბი ბი კინგის გასტროლის შემდეგ „დეილი ვორდმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ მასთან, სადაც ბიბი კინგი აცხადებდა: „საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის საქართველო. თბილისში ჩატარებულ ჯემ-სეიშენში ჩვენს ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა კონტრაბასისტი თამაზ ყურაშვილი და პიანისტი ვაგიფ მუსტაფა ზადე. მათთან მუშაობა დაუვიწყარია ჩემთვის."

თამაზ ყურაშვილის ბიოგრაფია შეტანილია 1999 წლის ჯაზის ენციკლოპედიის ამერიკულ გამოცემაში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული პრაღაში, ბუდაპეშტში, დებრენეცში, სოფიაში, ვარშავაში, სინგაპურში, ბომბეიში, სტამბულში, ჰააგაში გამართულ ჯაზ-ფესტივალებში. ქართველმა კონტრაბასისტმა გამოსცა კომპაქტ-დისკები, რომლებზეც აღბეჭდილია როგორც ცოცხალი, ისე სტუდიური შესრულება.

დიდ საკონცერტო დარბაზში, მუსიკოსის ვარსკვლავის გახსნამდე, კონცერტი გაიმართება, სადაც სამი ჟანრობრივი თემა იქნება გაერთიანებული. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ბიგ ბენდი, ჯაზბენდი და ვიდეოორკესტრი. ვოვა მოგელაძესთან ერთად კი ბლუზი შესრულდება.

## იუმორი



— დამავიწყდა, რა სიტყვაა, თამარი ცოლად რომ მოვიყვანო, მისი მშობლებისთვის რა ვიქნები?

— მხსნელი...

***

— სად მიდიხარ?

— მალაზიაში, გუშინ შარფი ვიყიდე და უნდა დავაბრუნო, ცოტას მიჭერს...

***

— დიეტური საკვები არის საკვები, რომელიც ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი უნდა შეჭამო, რომ დანაყრდე...

***

— როგორ უნდა გამოვიტანოთ კაზინოდან დიდი თანხა?

— კაზინოში ძალიან დიდი თანხით უნდა შეხვიდეთ.

***

— ექიმო, მემკვიდრეობითი დაავადება არ მჭირს, რადგან ობოლი ვარ...

***

— ბანკი — ეს არის ადგილი, სადაც ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში გასესხებენ, თუკი დაამტკიცებთ, რომ ეს ფული არ გჭირდებათ...

## ვანკუვერის ტრაგედიის ახალი დეტალები



12 თებერვალს ერთი წელი შესრულდება ვანკუვერის საშინელი ტრაგედიიდან, რომელმაც ქართველი სპორტსმენი, ნოდარ ქუმარიტაშვილი იმსხვერპლა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, კანადელმა ჟურნალისტებმა ახალი, სკანდალური დეტალები გამოაქვეყნეს. როგორც მოგეხსენებათ, 21 წლის სპორტსმენის დაღუპვის მიზეზად, საციგაო სპორტის ფედერაციამ სპორტსმენის გამოუცდელობა დაასახელა, მაგრამ ამ აზრს კანადელი ჟურნალისტები არ იზიარებენ.

როგორც ირკვევა, ტელეკომპანია სი-ბი-სიმ საიდუმლო ელექტრონულ მიმოწერას მიაგნო, რომელიც ჯერ კიდევ 2009 წლის მარტით თარიღდება. საციგაო სპორტის ფედერაცია და ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ერთმანეთს სწერდნენ, რომ ტრასა სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, რაც რეალურ საშიშროებას ქმნიდა. იყო შანსი, რომ სპორტსმენს შეეძლო დასაშვებზე 10-15 კილომეტრ საათი სიჩქარით მეტი განევითარებინა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

ამ მიმოწერიდან ოლიმპიადის დაწყებამდე თითქმის წელიწადი იყო დარჩენილი, მაგრამ ეს პრობლემა არ მოგვარდა და მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ვარაუდობდნენ. ეს ფაქტი ტრაგედიამდე ერთი დღით ადრეც გახდა ცნობილი, როდესაც ავსტრიელმა სპორტსმენმა დასაშვებზე მეტი სიჩქარე განავითარა. მაშინვე გაკეთდა კომენტარი, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია.

ახალი დეტალების გამორკვევის შემდეგ, სავარაუდოდ, ახალი გამოძიება დაინიშნება.

მ. ჟ.

## ავთო ვარსიმაშვილი ახალ ფილმზე მუშაობს

ეკა ირემაშვილი

თავისუფალი თეატრის დამაარსებელი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი „იდიოტოკრატიისა" და „ყველაფერი კარგად იქნებას" შემდეგ ახალ კომედიაზე მუშაობს. „მიდი ძმაო, მიდი!" — ასე ეწოდება ახალ კომედიური ჟანრის ფილმს, რომლის გადაღებებიც ამ დღეებში დასრულდა და ახლა სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

ეს არის თავისუფალი თეატრისა და „ვარს სტუდიოს" მორიგი ახალი ნამუშევარი, რომლის რეჟისორიც ავთო ვარსიმაშვილია, ოპერატორი — მიშა მაღალაშვილი. ფილმში მონაწილეობენ აპოლონ კუბლაშვილი, ირაკლი აფაქიძე, ქეთა ლორთქიფანიძე, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, კახა მიქიაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი. ფილმი ნიკო გომელაურის ხსოვნას ეძღვნება.



ფილმის გადაღების პარალელურად კი ავთო ვარსიმაშვილი თავისუფალ თეატრში პრემიერის გამოსაშვებად ემზადება. ახალ სპექტაკლს „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში" ჰქვია და იგი თამრი ფხაკაძის შესანიშნავი მოთხრობის ინსცენირებაა. სპექტაკლის მხატვარი თამარ მაჭავარიანია. მთავარ როლებში კი დაკავებული არიან სანდრო მარგალიტაშვილი, ანი ალადაშვილი, ვანო ქურასბედიანი და გიორგი ჯიქია.

პრემიერამდე ერთი თვის ადრე ავთო ვარსიმაშვილმა თეატრის მოყვარულ საზოგადოებას შესთავაზა ახალი სპექტაკლი „მშვენიერი ქართველი ქალი", რომელიც კარლო გოლდონის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა. დიდმა იტალიელმა კომედიოგრაფმა კარლო გოლდონიმ 250 წლის წინ დაწერა პიესა საქართველოზე, რომელმაც თავისუფალი თეატრის ხელმძღვანელის ინტერესი დაიმსახურა. „მშვენიერი ქართველი ქალი" ავთო ვარსიმაშვილმა სასაცილო, ლამაზ, მუსიკალურ სპექტაკლად აქცია, სადაც გააერთიანა თავისუფალი თეატრის თანავარსკვლავედი. სპექტაკლის მხატვრობაზე მირიან შველიძემ იზრუნა, მუსიკალურ მხარეზე კი — ვახტანგ კახიძემ. სპექტაკლში მონაწილეობენ თა-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## გიყვართ თუ არა საკუთარი თავი — ტესტი



1. მიგაჩნიათ, რომ ბედი არ გწყალობთ?
2. თუ უფარდებთ თქვენს საქციელს სხვების აზრს?
3. კარგად თუ გრძნობთ თავს ამჟამად?
4. გჩვევიათ თუ არა წარსული საუბრებისა და სიტუაციების ანალიზი, რათა მიხვდეთ, როგორ მოიქცეოდნენ მსგავს სიტუაციაში სხვა პიროვნებები?
5. თუ გრძნობთ თავს უხერხულად, როდესაც საჯაროდ გაქებენ?
6. თუ გრძნობთ პირდაპირ დამოკიდებულებას მატერიალურ მდგომარეობასა და სულიერ კომფორტს შორის?
7. გიჭირთ გრძნობების გამომჟღავნება?
8. შეგიძლიათ თუ არა დიდხანს მარტო ყოფნა?
9. შეგიძლიათ თუ არა, დაუპირისპირდეთ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობთ?

**პასუხები** — *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** გიყვართ საკუთარი თავიც და სხვებიც. თქვენი წარმატება და კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად ამით არის განპირობებული.

**4-6 ქულა:** ძნელი სათქმელია, გიყვართ თუ არა საკუთარი თავი. ამაზე იშვიათად ფიქრობთ. თქვენს შესაძლებლობებს სრულად არ იყენებთ, მეტ ყურადღებას უფრო ნაკლოვანებებს აქცევთ.

**6-9 ქულა:** არ გიყვართ საკუთარი თავი, მიგაჩნიათ, რომ რაღაც ცუდი შეიძლება დაგემართოთ და აღიარებთ, რომ მოლოდინი ხშირად მართლდება.

გ. თ.